

სახვითი სელოვნება

სახელმძვანელო

8





AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin*,
sözləri *Əhməd Cavadındır*.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadirikiz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



კვიფარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ქამალა ჯაფარზადე
მეხსიერი მამალოვა

ს ა ს ვ ი თ ი ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა



სახელმძღვანელო

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-8
კლასის მოსწავლეთათვის

სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული მოსაზრებები,
შენიშვნები და წინადადებები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ

შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
yazneshr@mail.ru და derslik@edu.gov.az

ჭინასნარ გიხდით მადლობას ტანამსრომლობისათვის!

YAZNƏŞR

ბაკუ – 2017

სარჩევი

1

ისტორიული მოვლენები და გმირების თემა სახვით სელოვნებაში

1. ბატალური და ისტორიული ჟანრები სახვით სელოვნებაში 8
2. ფრანსისკო გოია: ცხოვრებისეული მოვლენების
გავლენა მხატვრის ფერთა სამყაროზე 12
3. ჟაკ ლუი დავიდი: ისტორიული სახეები 16
4. ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი: ხაზის სელოვნება 20
5. ეჟენ დელაკრუა: ფერთა კონტრასტის უდიდესი ოსტატი 23

2

ახალი დროის მხატვრულ-გამომსახველოებითი ხერხები სახვით სელოვნებაში

6. იმპრესიონიზმი: შთაბეჭდილებების პოეზია 30
7. ოსკარ კლოდ მონე: შუქითა და ფერით გატაცება 34
- 8-9. ედუარდ მანე: ნატურმორტი იმპრესიონიზმში 38
- 10-11. ოგიუსტ რენუარი: შუქის ახლებური ხედვა 42
12. ოგიუსტ როდენი: მოძრაობა და ემოციები ქანდაკებაში 46
- 13-14. ვინსენტ ვან გოგი: ფერის, ხაზისა და
ფორმის ემოციური ზემოქმედება 50
- 15-16. პოლ გოგენი: ფერისა და ხაზის გამარტივება. სიმბოლიზმი 55
- 17-18. ანრი მატისი: ფორმა, ფერი და დეკორატიულობა ფერწერაში 60

3

აზერბაიჯანელი მხატვრები

19.	ბეიუქალა მირზაზადე: ფერების დამატყვევებელი სამყარო	68
20.	ფუად აბდურახმანოვი: დაზგური და მონუმენტური ქანდაკება	71
21.	ტოკაი მამედოვი: ფორმა, მასალა და სივრცე მონუმენტურ ქანდაკებაში	74
22.	სადიყ დადაშევი: ეროვნული და თანამედროვე ელემენტები აზერბაიჯანის ხუროთმოძღვრებაში	77
23.	თორგულ ნარიმანბეკოვი: მონუმენტური ფერწერა	80
24.	ელდარ მიქაილზადე: ფილოსოფიური აზრის ხორცშესხმა ხალიჩებში	84
25-26.	იდეა, ფუნქცია, კომფორტი: ადამიანის საგანთა სამყარო	87
27.	მსოფლიოს მუზეუმები: იმპრესიონიზმის სული	93

სახელმძღვანელოს გაცნობა

ყოველი თემის სასწავლო მასალები სახელმძღვანელოში განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. **დიალოგი ხელოვნებაზე და გაიხსენეთ** – კითხვები, ნახატები, ცნებები, რომლებიც გათვლილია ადრე მიღებულ ცოდნაზე და თემისადმი ინტერესს აღვივებს.
2. **გაეცანით** – მასალა დამოუკიდებლად კითხვისა და განხილვისათვის. აქ წარმოდგენილია ინფორმაცია სახვითი ხელოვნების ისტორიისა და საზოგადოებაში მისი როლის შესახებ, სხვადასხვა სქემები და ცხრილები.
3. **დიდი შემოქმედები** – აზერბაიჯანისა და მსოფლიოს გამოჩენილ შემოქმედთა ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა.
4. **სახვითი ხელოვნების გალერეა** – აზერბაიჯანისა და მსოფლიოს შემოქმედთა გრაფიკის, ფერწერის, ქანდაკებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გაცნობა.
5. **კითხვები განხილვისათვის** – ინფორმაცია განსჯის, დისკუსიისა და თეორიული მასალის ანალიზისათვის.
6. **ეს საინტერესოა და იცით თუ არა?** – თემასთან დაკავშირებული საინტერესო ფაქტები და მოვლენები თვალსაწიერის გასაფართოვებლად.
7. **დაფიქრდით და ახსენით** – მოცემული აზრის ახსნა.
8. **ოსტატის რჩევები** – შემოქმედებითი დავალებების შესასრულებლად აუცილებელი ხერხები, ახალი ინფორმაცია შემოქმედებისათვის.
9. **დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის** – თემასთან დაკავშირებული ახალი ცოდნისა და უნარების გამყარებისა და გამოყენებისათვის განკუთვნილი დავალებები, გამოსახვის დამხმარე მეთოდები.
10. **განსაზღვრეთ და შემოქმედებითი საქმიანობა** – დამოუკიდებლად შესასრულებელი არჩევითი დავალებები.
11. **შეამოწმეთ თქვენი თავი და განმაზოგადებელი დავალებები** – კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი შეფასებისა და დაგროვილი ცოდნის განზოგადებისათვის.



– **რესურსები** (თემასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული სამუშაოებისათვის გამოსადეგი მასალები და ნივთები)

1



ისტორიული
მოვლენები და
გმირობის თემა
სახვითი ხელოვნებაში





1. ბატალური და ისტორიული ჟანრები სახვით ხელოვნებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

რა არის საერთო ამ ნამუშევრების თემებში?

მირ-თეიმურ მამედოვი. „XVI საუკუნის მეომარი“. სეფევიდების სახელმწიფო, აზერბაიჯანი. სიმაღლე 70 სმ. კერძო კოლექცია. აშშ. 2007
ინტიგამ აგაევი. „შენ კიდევ იბრძოლებ“. 2012



გაიხსენეთ

სახვითი ხელოვნების რომელი ჟანრები ასახავს საომარ და საბრძოლო სცენებს, ისტორიულ მოვლენებსა და ცნობილ ადამიანთა ცხოვრებას?

გაეცანით

ჟანრებად დაყოფა ხელოვნების ბევრ დარგში არსებობს და ყოველი მათგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სახვით ხელოვნებაში ბრძოლის თემისა და სამხედრო ცხოვრებისადმი მიძღვნილ ჟანრს **ბატალური**¹ ეწოდება, ხოლო ისტორიული ფაქტების, საზოგადოების ისტორიაში სოციალურად ღირებული მოვლენების ამსახველ ჟანრს **ისტორიული** ჰქვია.

ბატალურ ჟანრში მთავარი ადგილი უჭირავს პატრიოტიზმის გამოვლინებებს, ლაშქრობებსა და საბრძოლო სცენებს. მხატვარს, რომელიც ბატალური ჟანრის ნამუშევრებს ქმნის, **ბატალისტი** ეწოდება. ომისა და ბრძოლების გამოსახულებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ესენია კლდის მხატვრობა, ძველი აღმოსავლეთის რელიეფები, ძველბერძნული ლარნაკუნერა, **ტრიუმფალური თალები**² და სვეტების რელიეფები. შუა საუკუნეების ევროპასა და აღმოსავლეთში საომარ და საბრძოლო სცენებს გამოსახავდნენ ქსოვილებზე, ხალიჩებზე, გობელენებსა და წიგნის მინიატურებზე.

იკით თუ არა?

ბატალური ჟანრი ხელოვანისაგან მოითხოვს არა მხოლოდ ოსტატობას, ასახოს თავად ბრძოლა, არამედ ისტორიის, სხვადასხვა საომარი ტექნიკის ცოდნას, ბუნებისა და ცხოველების გამოსახვის უნარს.

¹ ბატალური ჟანრი – ფრანგული სიტყვიდან *bataille* – ბრძოლა.

² ტრიუმფალური თალი – არქიტექტურის ძეგლი, რომელიც მონუმენტურ, საზეიმო თაღს წარმოადგენს. თაღებს აგებენ ქალაქების შესასვლელებთან, დიდ გზებზე, გამარჯვებულითა პატივსაცემად ან მნიშვნელოვანი მოვლენების სამახსოვროდ.

ისტორიულ ჟანრს ხელოვნები უძველესი დროიდან მიმართავდნენ. ამ ჟანრის ნამუშევრებში გამოსახავენ ისტორიულ მოვლენებს, გამოჩენილ პიროვნებებსა და მათ საქმეებს, საზოგადოებაში მომხდარ მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენებს. ისტორიული ჟანრი მჭიდრო კავშირშია სახვითი ხელოვნების სხვა ჟანრებთან – ყოფით ჟანრთან, პორტრეტთან, პეიზაჟთან. ბატალური და ისტორიული ჟანრების საფუძვლები უძველეს წარსულშია, მაგრამ დამოუკიდებელ ჟანრებად ისინი ევროპაში, აღორძინების ხანაში ჩამოყალიბდა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ბატალური ჟანრი ევროპულ მხატვართა შემოქმედებაში



ანტუან-ჟან გრო.
„ნაპოლეონი ბრძოლის
ველზე პროისიშ-
აილაუსთან“. ლუფერი,
პარიზი. 1808



ლეონარდო და ვინჩი.
„ანგიარის ბრძოლა“.
ლუფერი, პარიზი. ასლი
(რუბენსი) 1503-1506

დაფიქრდით და ახსენით

რა არის გამოსახულების ძირითადი მიზანი ბატალურ და ისტორიულ ჟანრებში?

ისტორიული და ბატალური ჟანრის აზერბაიჯანელ ოსტატთა შემოქმედება თითქოსდა გაჟღენთილია პატრიოტიზმის განსაკუთრებული სულითა და პატივსაცემ მებრძოლ მამულიშვილთა ვაჟკაცობისა და გმირობის წინაშე.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ბატალური და ისტორიული ჟანრები აზერბაიჯანელ მხატვართა შემოქმედებაში



სადიყ შარიფზადე, მიქაელ აბდულაევი, ბეიუქალა მირზაზადე. „ბაბექის ლაშქრობა“. აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. 1942



ტოკაი მამედოვი. „გმირი მეჭლი ჰუსეინზადე“. ბრინჯაო. 1958

ოქტაი სადიგზადე. „ნატავანი“. აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. 1983

ისტორიული და ბატალური ჟანრების ნიმუშები გვხვდება შექვის ხანებისა და ერეკის სახანოს სარდარის სასახლეში, მ. გ. ირევანის, მ. მ. ნავაბის შემოქმედებაში, ხოლო XX საუკუნესა და თანამედროვე მხატვრობაში – მ. აბდულაევის, ს. ბაჰლულზადეს, ტ. სალახოვის, ს. შარიფზადესა და სხვა აზერბაიჯანელ ოსტატთა ნამუშევრებში.

თანამედროვე მხატვართა ბატალური და ისტორიული ჟანრების შემოქმედება არა მხოლოდ გასული საუკუნეების ოსტატთა მიერ დაგროვილ ფასდაუდებელ გამოცდილებას მოიცავს, არამედ გვეხმარება შევისწავლოთ ჩვენი მინა-წყლის სახელოვანი წარსული, მამა-პაპათა საგმირო საქმეები. ისტორიული მოვლენების, ეროვნული გმირების, გამოჩენილი პიროვნებების გამოსახვა ახალ თაობას მამულისადმი სიყვარულის სულისკვეთებით ზრდის, უნერგავს მათ პატრიოტიზმს.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



უბრალო და ფერადი ფანქრები, კალმები

განსაზღვრეთ

1. სახვითი ხელოვნების რომელ დარგსა და ჟანრს განეკუთვნება თქვენს მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები? პასუხი დაასაბუთეთ.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახაზეთ ალბომში ცხრილები და, მათი შევსების შემდეგ, დაასახელეთ ჟანრების ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებები. გაიხსენეთ მხატვართა ამ ჟანრების ნამუშევრები გავლილი თემებიდან. შეადარეთ და აღნიშნეთ, რა არის მათში საერთო და რა განასხვავებს მათ.

ჟანრები	ჟანრების თავისებურებები	ჟანრების წარმოშობა	მხატვრები და მათი ნამუშევრები
ბატალური			
ისტორიული			

ჟანრების შედარებითი დახასიათება

ბატალური ჟანრის თავისებურებები	ბატალური და ისტორიული ჟანრების საერთო თავისებულებები	ისტორიული ჟანრის თავისებურებები

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ბატალურ და ისტორიულ ჟანრებზე სახვით ხელოვნებაში.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ დაასახელეთ ბატალური და ისტორიული ჟანრების მაგალითები თანამედროვე მხატვრების შემოქმედებაში.

2.

ფრანსისკო გოიას ცხოვრებისეული მოვლენების გავლენა მხატვრის ფართო სამყაროზე

დიალოგი ხელოვნებაზე

შესაძლებელია თუ არა, გარემომცველმა სინამდვილემ გავლენა მოახდინოს ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაზე?

გაიხსენეთ

რა თემებს ეძღვნება სიუჟეტური ნამუშევრები?

გაეცანით

რომანტიზმის¹ ეპოქის დიდი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას გრაფიკასა და ფერწერაში აღბეჭდილია ესპანელი ხალხის ფრანგ დამპყრობელთა წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლის განსაცვიფრებელი სცენები.

ახალგაზრდობაში გოიამ აღიარება ჰპოვა, როგორც პორტრეტის ოსტატმა. მის მიერ გამოსახული ადამიანები გამოირჩეოდნენ შინაგანი ენერჯითა და თავდაჯერებულობით, მათ ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული ეროვნული ნაკვთები. ამ პერიოდის სურათები გამსჭვალულია სიცოცხლის სიყვარულითა და ბუნებრივი სილამაზით.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მხატვრის ტილოების სტილი და ხასიათი მკვეთრად იცვლება. ამ დროიდან გოიას სურათებში უფრო მეტად სუფევს სიბნელე, რომელიც არა მხოლოდ ტილოს ფონი ხდება, არამედ ფიგურებსაც შთანთქავს. მარტოობის განცდა, შინაგანი წინააღმდეგობა, მტრული გარემო – ეს ყველაფერი იგრძნობა ფერმწერის ნამუშევრებში.

მადრიდის აჯანყების მოვლენები გოიამ ორ ცნობილ ტილოზე აღბეჭდა. ეს სურათები აღსავსეა ტრაგიზმითა და მომხდარის უსამართლობის განცდით. აქ იგრძნობა გოიას ტკივილიანი ფიქრი ესპანეთზე, პროტესტი ომისა და სისხლისღვრისადმი.



„ოსუნას პერცოგის ოჯახი“. პრადოს მუზეუმი, მადრიდი. ესპანეთი. 1788

¹ **რომანტიზმი** (ფრ. *romantisme*) – ახალი მიმდინარეობა XVIII-XIX საუკუნეებში, რომელიც კლასიციზმს უპირისპირდებოდა. ეს მიმდინარეობა ხასიათდება პიროვნების სულიერ-შემოქმედებითი ცხოვრების თავისთავად ღირებულებად აღიარებით, ძლიერი ვნებებისა და ხასიათების გამოსახვით. რომანტიკულად მიიჩნევენ ყველაფერ უცნაურს, ფანტასტიკურს, თვალწარმტაცს, წიგნებში – და არა სინამდვილეში – არსებულს.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ესპანეთის განთავისუფლებისადმი მიძღვნილი გოიას სურათები



„1808 წლის 2 მაისის აჯანყება მადრიდში“. პრადოს მუზეუმი, მადრიდი, ესპანეთი. 1814



„მეამბოხეთა დახვრეტა 1808 წლის 3 მაისის ღამეს“. პრადოს მუზეუმი, მადრიდი, ესპანეთი, 1814




„კარლოს VI-ის ოჯახი“. პრადოს მუზეუმი, მადრიდი, ესპანეთი. 1800-1801

დაფიქრდით და ახსენით

აღწერეთ მხატვრის პორტრეტები გამოსახულების ხასიათის მიხედვით. მათგან რომელია საზეიმო და რომელი – კამერული?

იციო თუ არა?

გოიას ცნობილმა სურათმა „კარლოს IV-ის ოჯახი“ განაცვიფრა კრიტიკოსები და ფერწერის დამფასებლები. არავის არასდროს გაუბედავს, ასე გამოესახა სამეფო ოჯახის წევრები. მხატვარმა თავს უფლება მისცა, გაეშვივლებინა მეფისა და მისი მეუღლის სულიერი სიმახინჯე, შინაგანი არარაობა და ქედმაღლობა. აი, უმცროსი ქალიშვილის, მარია-იზაბელას, სახე კი ნაზ ანგელოზს მოგვაგონებს.

დიდი შემოქმედები	
	<p>ფრანსისკო ხოსე დე გოია ი ლუსიენტეს <i>(Francisco José de Goya y Lucientes)</i></p> <p>ცხოვრების ქრონოლოგია</p>
ცხოვრების წლები	1746-1828
დაბადების ადგილი	სარაგოსა, ესპანეთი
განათლება	მხატვარ ლუსან ი მარტინესის სახელოსნო
წოდებები და ჯილდოები	სამეფო კარის პირველი მხატვარი (1799); გოიას სახელი ეწოდა კრატერს მერკურიზე
სტილი და ტექნიკა	რომანტიზმი, კრიტიკული რეალიზმი; ფერწერა, გრაფიურა
ქმნილებების თემები	პორტრეტული, ყოფითი, ბატალური, ისტორიული ჟანრები
ცნობილი ქმნილებები	„ქოლგა“ (1777), „ცეცხლი“ (1793), „ემპაკის ლამპარი“ (1798), „თულუხჩი“ (1810), „მსახიობი ანტონია ზარატე“ (1811), „სატურნი“ (1823) და სხვ.



საიტი ფრანსისკო გოიას შემოქმედებაზე
<http://www.goia.ru/>

ოფორტები სერიიდან „ომის საშინელებები“



„სალი გონებით თუ მის გარეშე?“



„რა სიმამაცა!“

გოიას ხელოვნებამ, რომელიც ესპანელი ხალხის ბედისწერასთანაა გადაჯაჭვული, ბრწყინვალე გამოვლინება ჰქონდა ოფორტებში სახელწოდებით „ომის საშინელებები“.

ღრმა ქვეტექსტმა, ხაზების მკვეთრმა გამომსახველობამ, ლაქებისა და შტრიხების, შუქისა და ჩრდილის კონტრასტების, გროტესკისა და რეალობის, ალეგორიის, ფანტასტიკისა და სინამდვილის დროული ანალიზის ერთიანობამ ევროპული გრავიურის განვითარების სრულიად ახალი გზები დასახა.

ფრანსისკო გოიას შემოქმედება მრავალფეროვანია და მეტად განსხვავებულ ჟანრებს მოიცავს. თუმცაღა არაფერი ისე არ ანცვიფრებს მყურებლის წარმოსახვას, როგორც პირქუში, მშფოთვარე, მახსოვრობაში სამუდამოდ აღბეჭდილი „შავი სურათები“, რომლებიც მხატვარმა ცხოვრების ბოლო წლებში შექმნა.

XIX საუკუნეში ესპანეთმა მსოფლიოს აჩუქა ფრანსისკო გოია – ამ საუკუნის ყველა ძირითადი მიმართულების წინამორბედი. მისი ხელოვნების თვალსაჩინო ინდივიდუალობა, შიშველი სიმართლისადმი სწრაფვა, სტიქიური სანყისის ძიება და ადამიანის სულის ბნელ კუნჭულებში ჩახედვის გაბედული მცდელობა – ეს ყველაფერი გამოარჩევდა გოიას თანამედროვეთაგან.

გოიას, როგორც მხატვარი-რეალისტის, სახელთან დაკავშირებულია ახალი დროის ხელოვნების დაბადება. მისმა შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა XIX-XX საუკუნეების მსოფლიო კულტურაზე, არა მხოლოდ ფერწერასა და გრაფიკაში, არამედ ლიტერატურაში, დრამატურგიაში, თეატრსა და კინოშიც კი.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, გუაში ან აკვარელი

განსაზღვრეთ

1. როგორ და რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით შეძლო მხატვარმა, ეჩვენებინა თავის ქმნილებებში ადამიანთა ხასიათები და ქმედებები?

შემოქმედებითი საქმიანობა

- 2.** დახატეთ ბატალური ან ისტორიული ჟანრის სიუჟეტური სურათი. ეცადეთ, აჩვენოთ ჟანრის დამახასიათებელი თავისებურებები.
- 3.** მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ფრანსისკო გოიას შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რამ შეცვალა ფრანსისკო გოიას ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევართა სტილი?
- ✓ მხატვრის შემოქმედებაში, რომელი თემები ასახავს ყველაზე უკეთ მის შინაგან სამყაროს?

3. ჟაკ ლუი დავიდი: ისტორიული სახეები

დიალოგი ხელოვნებაზე

რა თავისებურებები ახასიათებს ანტიკური ხანის ხელოვნებას?

გაიხსენეთ

ანტიკური კულტურის რომელ ელემენტებს ასახავდნენ მხატვრები უფრო ხშირად თავიანთ ნამუშევრებში?

გაეცანით

ფრანგული კლასიციზმის,¹ ამპირისა² და ფრანგული ფერწერის ახალი მიმდინარეობის – ნეოკლასიციზმის³ ფუძემდებლისა და აღიარებული ლიდერის, ჟაკ ლუი დავიდის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ისტორიული სახეების ვაჟკაცური დრამატიზმი.

დავიდის ერთ-ერთი ცნობილი ტილო, რომელმაც დასაწყისი მისცა ნეოკლასიციზმის სტილს, „ჰორაციუსების ფიცია“. სამი ვაჟისა და მამის ფიცი, სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით, ხალხის გაერთიანების აქტს წარმოადგენს. მოხუცი ლოცავს ვაჟებს ბრძოლის წინ და იარაღს უწვდის მათ.



„ჰორაციუსების ფიცი“. ლუვრი, პარიზი. 1784


¹ კლასიციზმი (ლათინური სიტყვიდან *classicus* – სამაგალითო) – მხატვრული სტილი XVII-XIX საუკუნეების დასავლეთევროპულ ხელოვნებაში, რომელიც მიმართავდა ანტიკურ მემკვიდრეობას, როგორც მისაბაძ იდეალს. კლასიციზტი მხატვრები ანტიკურობას უმაღლეს მიღწევად მიიჩნევდნენ და სახავდნენ მას თავიანთ ეტალონად, რომლის მიბაძვასაც ესწრაფვოდნენ.

² ამპირი (ფრანგული სიტყვიდან *empire* – იმპერია) – XIX საუკუნის საფრანგეთში, ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი იმპერიის პერიოდში წარმოქმნილი ხელოვნების სტილი (იმპერიის სტილი). ამპირი კლასიციზმის განვითარების ფინალია. დიდებულების, დახვეწილობის, ფუფუნებისა და საბრძოლო ძალის ხორცშესხმისათვის ამპირი, როგორც წესი, ანტიკურ ხელოვნებას მიმართავს.

³ ნეოკლასიციზმი – XIX საუკუნის მინურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელმაც ააღორძინა ინტერესი ცხადი პლასტიკური ფორმის, ანტიკურობისა და რენესანსის იდეალებისადმი.

ამ ნამუშევარში მხატვარი უარს ამბობს ყოველგვარ სილამაზესა და დახვეწილობაზე, დეტალებსა და წვრილმანებზე. მის სტილში იგრძნობა სიმკაცრე, ენერჯის ძლიერი მუხტი.

კომპოზიციისა და პერსპექტივის კანონზომიერებების მარჯვედ გამოყენებით, დავიდმა სურათის ყოველი დეტალი იდეის გახსნისაკენ მიმართა.



„ჰორაციუსების ფიცმა“ მხატვარს ჭეშმარიტი ტრიუმფი მოუტანა და, დიდწილად, განსაზღვრა მისი ბედი რევოლუციის წლებში.

დავიდის ქმნილებებისათვის დამახასიათებელია ამალღებული ჩანაფიქრი, სახეთა წყობის სასცენო ზეიმურობა, შუქ-ჩრდილის სანყისის დომინირება კოლორიტზე. თავისი პირველი ტილოების პერსონაჟებად იგი ირჩევს ანტიკურობის ცნობილ გმირებს და მათი მეშვეობით გამოხატავს ეპოქის ახალ იდეალებს.

დავიდის შემოქმედების ცალკე თემა იყო მისი დამოკიდებულება ნაპოლეონ ბონაპარტთან – მხატვარი მათი პირველი შეხვედრიდანვე ნაპოლეონის თაყვანისმცემელი იყო. უაკ ლუი დავიდი სამეფო კარის ოფიციალურ მხატვრად დაინიშნა. თავისი სურათებისთვის, რომლებშიც იგი ხოტბას ასხამდა დიდ იმპერატორსა და მის იმპერიას, იგი საგანგებოდ ავეჯს ამზადებინებდა, რათა შემდეგ დაეხატა. ეს ძალზე მოეწონა ნაპოლეონსა და მის ამაღლას.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„ნაპოლეონ ბონაპარტი სენ-ბერნარზე გადასვლის დროს“. მალმეზონი, პარიზი. 1800



„იმპერატორი ნაპოლეონი თავის კაბინეტში, ტიუილრიში“. ხელოვნების ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი. 1812

დიდი შემოქმედები

	<p>ჟაკ ლუი დავიდი <i>(Jacques-Louis David)</i></p> <p>ცხოვრების ქრონოლოგია</p>
<p>ცხოვრების წლები</p>	<p>1748-1825</p>
<p>დაბადების ადგილი</p>	<p>პარიზი, საფრანგეთი</p>
<p>განათლება</p>	<p>ფერწერისა და ქანდაკების სამეფო აკადემია პარიზში (1766-1774)</p>
<p>წოდებები და ჯილდოები</p>	<p>ფრანგული ნეოკლასიციზმის ფუძემდებელი; ეროვნული კონვენტის დეპუტატი, საპატიო ლეგიონის ორდენი</p>
<p>სტილი და ტექნიკა</p>	<p>კლასიციზმი, ამპირი, ნეოკლასიციზმი; ფერწერა, გრაფიკა</p>
<p>ქმნილებების თემები</p>	<p>მითოლოგიური, ისტორიული, ბატალური და პორტრეტული თანრები</p>
<p>ცნობილი ქმნილებები</p>	<p>„სენეკას სიკვდილი“ (1773), „თავადი პოტოცკი“ (1781), „სოკრატეს სიკვდილი“ (1787), „მედილეის პორტრეტი“ (1794), „მარგარიტა-შარლოტა დავიდი“ (1813), „ზინაიდა და შარლოტა ბონაპარტები“ (1821) და სხვ.</p>

დაფიქრდით და ახსენით

როგორ აისახა ანტიკური სტილი დავიდის შემოქმედებაში? რა სიახლე შეიტანა მხატვარმა თავის სურათებში?

იცით თუ არა?

დავიდის გავლენა, რომელიც სურათებს ბევრად სცდებოდა, იყო მოდის, ავეჯის დიზაინისა და ინტერიერის სტილის განმსაზღვრელი, გარდა ამისა, ეს გავლენა მორალის ფილოსოფიის განვითარებაზეც აისახებოდა.

დავიდი რევოლუციის ხანის უდიდესი ფრანგი მხატვარი იყო. ის იყო მსოფლიოში პირველი დიდი მხატვარი, რომელიც რევოლუციონერი გახდა. დავიდის შემოქმედებამ მის თანამედროვე ფერწერაში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია, რომელიც მთელ XIX საუკუნეზე გავრცელდა. დავიდს დიდი გავლენა ჰქონდა სხვა ქვეყნების ხელოვნების მიმართულეებზეც. მხატვარი ცხოვრობდა ცვლილებების ეპოქაში და მათი უშუალო მონაწილე იყო. იგი იქცა ფრანგული ნეოკლასიციზმის უდიდეს წარმომადგენლად, რომლის მთავარი მიზანი იყო თავისუფლების იდეალების ასახვა ანტიკური სახეების მეშვეობით.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, გუაში ან აკვარელი

განსაზღვრეთ

1. დავიდის ქმნილებების განხილვისას, გაადევნეთ თვალი, როგორ იმოქმედა ქვეყანაში მომხდარმა მოვლენებმა მის შემოქმედებაზე.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ ადამიანი, რომლის შემოქმედებამ და პიროვნებამ თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

3. ა) მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ჟაკ ლუი დავიდის შემოქმედებაზე.

ბ) დახატეთ ნახატი ან დანერეთ ესე, რომლითაც ხოტბას შეასხამთ აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული გმირების საქმეებს.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა შეიძლება ჩაითვალოს დავიდის შემოქმედების დამახასიათებელ ნიშნებად?
- ✓ რით განსხვავდება ფრანსისკო გოიასა და დავიდის შემოქმედება?

4.

ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი: საზის ხელოვნება

დიალოგი ხელოვნებაზე

სახვით ხელოვნებაში, რას გულისხმობს გამოთქმები „დახვეწილი ფორმა“, „უზადო ნახატი“, „ლამაზი სილუეტი“?

გაიხსენეთ

რომელი მიმდინარეობის მხატვრები აფასებდნენ ყველაზე მეტად ზუსტ ფორმასა და იდეალურ ნახატს?

გაეცანით

გამოჩენილი ფერმწერი ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი და ისტორიული და პორტრეტული ჟანრების ბრწყინვალე ოსტატი იყო. ენგრი, ისევე, როგორც მისი მასწავლებელი დავიდი, გატაცებული იყო ანტიკურობითა და იტალიური აღორძინების ხანის მხატვრებით და რაფაელს მიუწვდომელ იდეალად თვლიდა.

თავის შემოქმედებაში ენგრი ესწრაფვოდა იდეალური, სრულყოფილი ფორმის შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ცოცხალი ბუნების ნაკლოვანებებისაგან, და ყველაზე მეტად აფასებდა იდეალურ ნახატს. „ხაზი – ეს ნახატია, ეს ყველაფერია!“ – ეუბნებოდა იგი შეგირდებს.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„ნაპოლეონი საიმპერატორო ტახტზე“.
არმიის მუზეუმი, პარიზი. 1806




„ჟანა დ'არკი კარლოს VII-ის კორონაციაზე“.
დენონის ფრთა. ლუვრი, პარიზი. 1854

ენგრის ადრეული ნამუშევრები აღბეჭდილია კომპოზიციის კლასიკური სიმწყობრით, ფერის დახვეწილი გრძნობით, ნათელი კოლორიტის ჰარმონიულობით. ცხოვრების მთავარ საქმედ ენგრი თვლიდა ისტორიული და რელიგიური თემატიკის დიდი კომპოზიციების შექმნას. ენგრმა ანტიკურ და ალორძინების ხანებს მიმართა და თავის კომპოზიციებში უხვად შეიტანა ნატურის ცოცხალი დაკვირვება და რელიგიური გრძნობა.



„რომულუსი – აკრონის დამმარცხებელი“. ლუვრი, პარიზი. 1812

დიდი შავოქმედავი	
 <p>INGRES.</p>	<p>ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი <i>(Jean Auguste Dominique Ingres)</i></p> <p>ცხოვრების ქრონოლოგია</p>
ცხოვრების წლები	1780-1867
დაბადების ადგილი	მონტობანი, საფრანგეთი
განათლება	ტულუზის ნატიფი ხელოვნების აკადემია; ჟაკ ლუი დავიდის შეგირდი
წოდებები და ჯილდოები	საპატიო ლეგიონის ორდენი, რომის ფრანგული აკადემიის დირექტორი
სტილი და ტექნიკა	კლასიციზმი, ნეოკლასიციზმი, აკადემიზმი; ფერწერა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	პორტრეტები, მითოლოგიური, რელიგიური, ისტორიული ჟანრები
ცნობილი ქმნილებები	„აგამემნონის ელჩები აქილევსის კარავში“ (1801), „ლეონარდო და ვინჩის სიკვდილი“ (1818), „ლუდოვიკო XIII-ის ალექმა“ (1824), „პრინცესა დე ბროგლი“ (1851-1853) და სხვ.

ენგრი არ ცნობდა საღებავის ფაქტურულ დატანას, მსხვილ მონასმებს, სინათლისა და ფერის ეფექტების გადაჭარბებას. იგი უპირატესობას ანიჭებდა ნახევარტონებში ოდნავ გადასულ ლოკალურ ფერებს.

ენგრი ფანქრით შესრულებული ბრწყინვალე პორტრეტების ავტორია. მან შეძლო ეგრძნო და გადმოეცა იმ დროის ბევრი ადამიანის არა მხოლოდ იერი, არამედ მათი ხასიათის თვისებებიც.

„მხატვარი-ბატალისტი შარლ ტევენენი“. კერძო კოლექცია. 1817



„მადამ ბალტარი და მისი ქალიშვილი პაულა“. კერძო კოლექცია. 1836



დახვეწილი ფორმა, უზადო ნახატი, სილუეტების სილამაზე განსაზღვრავს ენგრის ქმნილებათა სტილს. ფერმწერის ნამუშევრებმა, მისმა უდიდესმა ოსტატობამ და ხაზების მაგიამ გავლენა მოახდინა ბევრი მხატვრის შემოქმედებაზე. მისი მრავალრიცხოვანი სურათები და ნახატები, არქივი და პირადი ნივთები მონტოპანში მდებარე ენგრის მუზეუმში ინახება.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



უბრალო და ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები

განსაზღვრეთ

1. რითი გამოირჩევა გამოსახულებები და სტილი მხატვრის ნახატებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ სურათი ან პორტრეტი ისტორიულ თემაზე.

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ წარმოადგენს თუ არა ნახატი ენგრის ფერწერული ნამუშევრების საფუძველს? პასუხი დაასაბუთეთ.
- ✓ რა ძირითადი თვისებები ახასიათებს ენგრის შემოქმედებას?

5. ეჟენ დელაკრუა: ფერთა კონტრასტის უდიდესი ოსტატი

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ენოდება ფერებს, რომლებიც ფერების ბორბალში ერთმანეთის პირისპირ მდებარეობს?

გაიხსენეთ

მოიყვანეთ ფერისა და ტონალური კონტრასტის მაგალითები

გაეცანით

რომანტიკულ ფერწერაზე თვალსაჩინო წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა, მივმართოთ ეჟენ დელაკრუას ქმნილებებს, რომლებმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ისტორიული ჟანრის განვითარებაში.

ეჟენ დელაკრუა საფრანგეთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხატვარია, რომელმაც უამრავი შესანიშნავი სურათი შექმნა სრულიად განსხვავებულ სიუჟეტებზე. მას თანაბრად შთააგონებდა აღმოსავლეთი, შუა საუკუნეები და საფრანგეთის რევოლუცია.



„დანტე და ვერგილიუსი“ („დანტეს ნავი“). ლუვრი, პარიზი. 1822

იცი თუ არა?

დელაკრუას პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი იყო „დანტეს ნავი“, რომელმაც შემოქმედს დიდი აღიარება მოუპოვა და კრიტიკოსები ახალი რომანტიკოსი მხატვრის დაბადებაზე აალაპარაკა. ამ ტილოს მძლავრი ემოციური ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება ფერებისა და შუქ-ჩრდილის გამოყენების არატრადიციული ხერხით. კლასიციზტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფერს, ნახატთან შედარებით, მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ, ე. დელაკრუა ფერს ფერნერის უმნიშვნელოვანეს ელემენტად თვლის. სურათის ფერთა ჟღერადობა ძლიერდება კონტრასტული ტონების გამოყენებით: ნითელი და ლურჯი ფერის კამკაშა ლაქები ტანსაცმლის გამოსახვისას და შიშველი სხეულების ნათელი ელფერები მკვეთრად გამოიყოფა ლურჯ-მწვანე და ყავისფერ ფონებზე.

სახვითი ხელოვნების გაღერა

ფერთა კონტრასტი დელაკრუას ისტორიულ და ბატალურ ნამუშევრებში






„თავისუფლება ბარიკადებზე“ ან „თავისუფლება, ხალხს მიუძღვის“. ლუვრი, პარიზი. 1830

„ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება“. ლუვრი, პარიზი. 1840

„თავისუფლება ბარიკადებზე“ იქცა დელაკრუას ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ცნობილ ქმნილებად. სურათის ცენტრში გამოსახულია ქალი, რომელიც თავისუფლებას განასახიერებს. მას ახურავს ფრიგიული ჩაჩი – თავისუფლებისა და რევოლუციის სიმბოლო. მარჯვენა ხელში ქალს დროშა უჭირავს, მარცხენაში – იარაღი. სურათის ყოველი დეტალი ემსახურება მთავარ იდეას – ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას. ფიგურები სურათზე – მუშა, ბურჟუა, მოზარდი – სიმბოლოა ფრანგი ხალხის ერთობისა რევოლუციის დროს. ქალის მარცხნივ, ცილინდრიანი მამაკაცის სახით, მხატვარმა თავისი თავი გამოსახა.

დელაკრუას მონუმენტური ტილოები ანცვიფრებდნენ თანამედროვეებს გულახდილობითა და ემოციური სისავსით. თუმცაღა ბევრ ნამუშევარს კრიტიკა მტრულად შეხვდა. ამის მიუხედავად, მხატვარმა შეძლო, შეენარჩუნებინა რომანტიზმის იდეალებისადმი ერთგულება. ოსტატის ხელოვნება მხოლოდ მისი სიცოცხლის ბოლოს აღიარეს, იგი ამ ოფიციალური აღიარებისაკენ ზუსტად ოცი წელი მიდიოდა.

დიდი შემოქმედავი	
 	<p>ფერდინან ვიქტორ ეჟენ დელაკრუა <i>(Ferdinand Victor Eugène Delacroix)</i></p> <p>ცხოვრების ქრონოლოგია</p>
ცხოვრების წლები	1798–1863
დაბადების ადგილი	პარიზი
განათლება	პიერ ნარსის გერენის შეგირდი; ნატიფი ხელოვნების სკოლა
წოდებები და ჯილდოები	საპატიო ლეგიონის ორდენი
სტილი და ტექნიკა	რომანტიზმი; ფერწერა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	ნატურმორტი, ისტორიული, ბატალური ჟანრი
ცნობილი ქმნილებები	„გიაურისა და ფაშას ორთაბრძოლა“ (1826), „სარდანაპალის სიკვდილი“ (1827-1828), „ალჟირელი ქალები“ (1834), „ფრიდერიკ შოპენის პორტრეტი“ (1838), „არაბული ბედაურების ორთაბრძოლა“ (1860) და სხვ.


 საიტი ეჟენ დელაკრუას შემოქმედებაზე
<http://www.goia.ru/>

ეს საინტერესოა

მხატვარს ძალიან უყვარდა ნატურმორტებისა და ველური ცხოველების ხატვა.



„ლომებზე ნადირობა მაროკოში“. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი. 1854



„ნატურმორტი ლანგუსტებით“. ლუვრი, პარიზი. 1826-1827

დელაკრუას ნამუშევრები გარკვეული მანძილიდან უნდა ათვალიეროთ. ახლოდან ისინი სახელდახელოდ და უხეშად დახატული გეჩვენებათ. ეს იმით აიხსნება, რომ დელაკრუა მუდამ სწრაფად მუშაობდა.

როგორც წესი, ის დიდხანს ფიქრობდა სურათის სიუჟეტსა და კომპოზიციაზე, აკეთებდა ჩანახატებს, მაგრამ როგორც კი ხელში ფუნჯს იღებდა, ჩქარობდა ტილოზე გადაეტანა გრძნობები, რომლებსაც იგი შეეპყროთ. განწყობა იყო მისი შემოქმედების ლამის ძირითადი რომანტიკული პრინციპი.

დაფიქრდით და ახსენით

რა განწყობა სუფევს დელაკრუას ნამუშევრებში? პასუხი დაასაბუთეთ.

მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში დელაკრუა შევიდა, როგორც ფერის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი. მან მხატვართაგან პირველმა დააყენა ფერის პრობლემა და მეცნიერულად დაასაბუთა იგი. მთელი თავისი შემოქმედების განმავლობაში იგი მუშაობდა საღებავების ჰარმონიულად შეხამების, ფერთა კონტრასტების გამოყენებისა და დამატებითი ფერების პრობლემაზე. ამ სფეროში მისმა მიღწევებმა განვითარება ჰპოვა **იმპრესიონისტების**¹ შემოქმედებაში.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



პასტელის ცარცები, გუაში

განსაზღვრეთ

1. რომელი კონტრასტული ფერებია გამოყენებული მხატვრის ქმნილებებში? **შემოქმედებითი საქმიანობა**

2. დახატეთ სურათი ისტორიულ თემაზე ან ნატურმორტი, გამოიყენეთ ფერთა კონტრასტები.

ოსტატის რჩევები

გამოიყენეთ თქვენს სურათში კონტრასტული ფერების შემდეგი ნყვილები:

ყვითელი	←→	იისფერი	მოყვითალო-ნარინჯისფერი	←→	მოლურჯო-იისფერი
ნარინჯისფერი	←→	ლურჯი	მონითალო-ნარინჯისფერი	←→	მოლურჯო-მწვანე
წითელი	←→	მწვანე	მონითალო-იისფერი	←→	მოყვითალო-მწვანე






3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ეჟენ დელაკრუას შემოქმედებაზე.

შეამონმეთ თქვენი თავი

- ✓ ჩვეულებრივ, რა სიუჟეტებს ანიჭებდნენ უპირატესობას რომანტიკოსი მხატვრები?
- ✓ ჩამოთვალეთ დელაკრუას შემოქმედების თავისებურებები.

¹ **იმპრესიონიზმი** (ფრანგული სიტყვიდან *impressionnisme*, *impression*-იდან წარმოდგება) – მიმდინარეობა ფერწერაში, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში, საფრანგეთში წარმოიშვა, შემდგომში კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. იმპრესიონისტები – ამ მიმართულების წარმომადგენელი მხატვრები.

ისტორიულ და ბატალურ ჩანახატებში, რომლებიც დაკავშირებულია თავთან „ისტორიული მოვლენები და გმირობის თემა სახვით ხელოვნებაში“, შეიძლება გამოიყენოთ გამოსახულებების შემდეგი თანმიმდევრობა.



განმავობადეხელი ღავალეხები

1. ამოიცანით ისტორიული და ბატალური ჟანრის ნამუშევრები.



1. ქემალედინ ბეზადი. „თემურისა და ეგვიპტის სულთნის ბრძოლა“ (ფრაგმენტი). „თემურიდული საფარნაძე“, გულისტანის სასახლის ბიბლიოთეკა, თეირანი. XV საუკუნე



2. თავი თავიევი. „ქოროლი“. 1943



3. ვადანი ნარიმანბეკოვი. „ომის გზებზე“. 1967



4. რამიზ აბასოვი. „თანდირი“. 2013

- 2. ჩამოთვალეთ ბატალური ჟანრის ძირითადი თვისებები.
- 3. ძირითადად რას ასახავენ ხოლმე ისტორიული ჟანრის ნამუშევრები?
- 4. განსაზღვრეთ ნამუშევრები ამ თანმიმდევრობით:



2



ახალი დროის
მხატვრულ-
გამომსახველობითი
სერხები სახვით
ხელოვნებაში



6. იმპრესიონიზმი: შთაბეჭდილება კოეზია

დიალოგი ხელოვნებაზე

რით განსხვავდება შუა საუკუნეების ფერწერა თანამედროვე ნამუშევრებისაგან?

გახსენეთ

რა იცით ფერწერის ჟანრების წარმოქმნისა და განვითარების შესახებ?

გაეცანით

XIX საუკუნის შუა ხანებამდე მხატვრები სტუდიებსა და სახელოსნოებში მუშაობდნენ, მათი ნამუშევრების თემები იყო ადამიანები, პეიზაჟები ან ისტორიული მოვლენები. მოგვიანებით ახალი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება დაიწყო. ახალი დროის ფერმწერებს ევინროებოდათ აკადემიზმის¹ საშუალებებისა და მიზნების ჩარჩოები. პირველად ხელოვნების ისტორიაში, ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფმა წესად დაიდო, ეხატათ არა სახელოსნოებში, არამედ ღია ცის ქვეშ და ზუსტად დაეფიქსირებინათ გარდამავალი შუქი და ფერი ცვალებად გარემოში. პარიზში გამოფენის შემდეგ ამ მხატვრებს იმპრესიონისტები უწოდეს. ეს სიტყვა მათ ნამუშევრებს შეესაბამებოდა, რადგანაც მათში მხატვრები გადმოცემდნენ თავიანთ უშუალო შთაბეჭდილებებს ნანახიდან.

ეს საინტერესოა

ტერმინი „იმპრესიონიზმი“ პირველად ერთ-ერთმა კრიტიკოსმა გამოიყენა კლოდ მონეს პეიზაჟის მიმართ „შთაბეჭდილება. მზის ამოსვლა“. განსაზღვრება „იმპრესიონისტები“ ახალგაზრდა მხატვრებმა თავისი ჯგუფის სახელწოდებად მიიღეს.



„შთაბეჭდილება. მზის ამოსვლა“ (*Impression. Soleil levant*).
მარმოტანის მუზეუმი, პარიზი. 1872

¹ აკადემიზმი – ეს ტერმინი სახვითი ხელოვნების ისტორიაში გამოიყენება და აღნიშნავს სამხატვრო სისტემებსა და მიმართულებებს, რომლებიც ხელოვნების აკადემიებში ჩამოყალიბდა ანტიკურობისა და აღორძინების ხელოვნების მიბაძვის საფუძველზე.

იმპრესიონისტები სხვაგვარად მიუდგნენ სამყაროს ასახვას. მათთვის მთავარი გახდა შუქი, ჰაერი, რომლებშიც თითქოსდა ჩაძირულია ადამიანების ფიგურები და საგნები. მათ სურათებში იგრძნობოდა ქარი, ნანვიმარზე ნოტიო, მზით გამთბარი მიწა. ისინი ესწრაფვოდნენ დაენახათ და ეჩვენებინათ ბუნების ფერთა საოცარი სიმდიდრე.



კამილ პისარო. „ოპერის პროსპექტი პარიზში“.
(სველი თოვლის ეფექტი. დილა). სახვითი ხელოვნების
სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი. 1898



ოგიუსტ რენუარი. „გასეირნება“.
გეტის მუზეუმი, ლოს-ანჯელესი.
1870



ედუარდ მანე. „ბარი ფოლი-ბერეჟერში“.
კურტოს
გალერეა, ლონდონი. 1882



კლოდ მონე. „ქალბატონი სენტ-ადრესის
ბაღში“.
ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი.
1867

იმპრესიონიზმი საგრძნობლად განსხვავდებოდა აკადემიური ფერწერი-საგან. უპირველეს ყოვლისა, იმპრესიონისტებმა უარი თქვეს კონტურზე და შეცვალეს იგი ცალკეული წვრილი და კონტრასტული მონასმებით. ამან შესაძლებელი გახადა, არ შეერიათ ფერები პალიტრაზე, არამედ მიეღოთ საჭირო ფერი ტილოზე სწორად დადების გზით.

შედეგად, სწორედ ეს გახდა შავ ფერზე უარის თქმის საბაზი. ამის შემდეგ იმპრესიონისტები უარს ამბობენ, ტილოზე შესასრულებელი მთელი სამუშაო სახელოსნოებში შეასრულონ, მათ **პლენერი**² ურჩევნიათ. პლენერის წყალობით დაიწყეს საღებავების გამოშვება ტუბებში, რომლებსაც თავსახურები ჰქონდა, რათა საღებავი არ გამომშრალიყო. მანამდე მხატვრები თავად ამზადებდნენ საღებავებს სახელოსნოებში.

დაფიქრდით და ახსენით

რა ცვლილებები მოხდა მხატვრობაში იმპრესიონიზმის პერიოდში?

ისევე, როგორც რენესანსის (ალორძინების) ეპოქის სურათები, იმპრესიონიზმის ქმნილებებიც პერსპექტივის აღქმის წესებსა და ჩვევებზეა აგებული. იმპრესიონისტები აქცენტს აკეთებდნენ არა იმაზე, რა იყო გამოსახული, არამედ იმაზე, თუ როგორ იყო გამოსახული. ისინი სურათებში ცხოვრების მხოლოდ პოზიტიურ მხარეებს წარმოაჩენდნენ და არ ეხებოდნენ სოციალურ პრობლემებს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა შიმშილი, სნეულებები, სიკვდილი. მხატვრები ხშირად ხატავდნენ ადამიანებს მოძრაობაში, გართობისა და დასვენების დროს და წარმოადგენდნენ გარკვეული ადგილის იერს გარკვეულ განათებაში. მათ სურათებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ბუნებაც.



გუსტავ კაიბოტი. „წვიმიანი დღე ბატინიოლის კვარტალში“. ხელოვნების ინსტიტუტი, ჩიკაგო. 1877



ალფრედ სისლეი. „წვიმიანი დღე“. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1874

გარკვეული ბიძგი იმპრესიონიზმის წარმოშობას მისცა იმ დროის ისეთმა სამეცნიერო აღმოჩენებმა, როგორებიცაა ფოტოგრაფია და ფერთა ბორბლის თეორია, ასევე – საღებავების ტუბების გამოგონებამ.

² **პლენერი** (ფრანგ. *plein air* – ღია ცის ქვეშ) – ობიექტების გამოსახვის ფერწერული ტექნიკა ბუნებრივ განათებასა და ბუნებრივ პირობებში. პლენერული ფერწერა ჩამოყალიბდა მხატვრების ღია ცის ქვეშ მუშაობის შედეგად.

ყველაზე ცნობილი იმპრესიონისტი მხატვრები არიან: კლოდ მონე, ედუარდ მანე, ედგარ დეგა, კამილ პისარო, გუსტავ კაიბოტი, პოლ სეზანი, ოგიუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი.

იმპრესიონისტების შემოქმედებითი გზა რთული იყო. თავიდან მათ არ აღიარებდნენ, მათი მხატვრობა ზედმეტად გაბედული და უჩვეულო ჩანდა, მათ დასცინოდნენ. მაგრამ ისინი უკან არ იხევდნენ და ვერც სილარიბემ, ვერც შიმშილმა ვერ აიძულა, უარი ეთქვათ თავინათ მრწამსზე.

იმპრესიონიზმი დიდ სახელოვნებო მოძრაობად იქცა XIX საუკუნის საფრანგეთში. იმპრესიონისტებმა თანამედროვეთა ცნობიერებაში რევოლუცია მოახდინეს, მათ წინაშე ახალი ჰორიზონტები გადაშალეს. იმპრესიონიზმმა ბიძგი მისცა ხელოვნების განვითარებას, ახალი კონცეფციების, მიმდინარეობებისა და ფორმების გაჩენას.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



უბრალო ფანქარი და კალმები

განსაზღვრეთ

1. რა არის საერთო იმპრესიონისტი მხატვრების ქმნილებებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. გადახაზეთ ცხრილი ალბომში და აღნიშნეთ იმპრესიონიზმის ძირითადი თავისებურებები.

იმპრესიონისტი მხატვრები	შემოქმედებითი პერიოდი	იმპრესიონიზმის ძირითადი თავისებურებები

3. მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია იმპრესიონიზმისა და მის წარმომადგენელთა შესახებ, დანერეთ ესე ან მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა იყო იმპრესიონისტი მხატვრების სურათების მთავარი თემა?
- ✓ რა როლი აქვს იმპრესიონიზმს სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში და რა გავლენა იქონია ამ მიმართულებამ თანამედროვეობაზე?

7.

ოსკარ კლოდ მონე: შუქითა და ფერით გატაცება

დიალოგი ხელოვნებაზე

როგორ არის დაკავშირებული შუქი და ფერი ფერწერაში?

გაისხენეთ

ისაუბრეთ ფერებზე ფერთა ბორბალში და მათ თვისებებზე.

გაეცანით

იმპრესიონიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო გამოჩენილი ფრანგი ფერმწერი კლოდ მონე. მონეს გატაცება შუქითა და ფერით გამოიხატა მრავალწლიან კვლევა-ძიებასა და ექსპერიმენტებში, რომელთა მიზანი იყო ბუნების ხანმოკლე, მოუხელთებელი ელფერების ტილოზე დაფიქსირება. მონე მდინარე სენაზე დაცურავდა ნავით, რომელიც მისი სახელოსნოს მაგივრობას სწევდა. მხატვარმა შენიშნა, რომ ჰაერში არ არსებობს მუდმივი, ლოკალური ფერები. მან მიზნად დაისახა გადმოეცა წუთიერი შთაბეჭდილებები ფერისაგან, რომელიც ატმოსფერული პირობების მიხედვით იცვლება.

სახვითი ხელოვნების გალერეა



ედუარდ მანე. „კლოდ მონე ნავ-სახელოსნოში“. ახალი პინაკოთეკა, მიუნხენი. 1874



კლოდ მონე. „ხიდი არჟანტოიში“. ხელოვნების ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი. 1874

დაფიქრდით და ახსენით

რა კავშირია წელიწადის დროს, ფერთა ელფერებსა და პერსპექტივას შორის კლოდ მონეს ქმნილებაში „ხიდი არჟანტოიში“?

სურათის „ყაყაჩოების ველი“ ანალიზი

ორსეს მუზეუმი, პარიზი, საფრანგეთი. 1873

კლოდ მონეს სურათი „ყაყაჩოების მინდორი“ იმპრესიონისტების პირველ გამოფენაზე იქნა წარმოდგენილი.




1.




2.



3.



4.



5.



6.

1. სახლი ხეებს შორის. უკანა პლანზე დახატული სახლი ჰორიზონტის ხაზზე მდებარეობს. მისი სახურავი სურათის უკანა პლანს წინა პლანთან აკავშირებს, კედლები კი წარმოქმნიან წყვეტას მუქ სიმწვანეში და არბილებენ გადასვლას ველსა და ცას შორის.


2. ფიგურები უკანა პლანზე. მოძრაობის შთაბეჭდილების გადმოსაცემად მონემ გორაკის თავზე ფუგურათა მეორე წყვილი დაამატა. ისინი დაკავშირებულნი არიან წინა პლანის ფიგურებთან ბალახში მიმავალი ოდნავ შესამჩნევი ბილიკით.

3. ყვითელი შტრიხები. მიუხედავად იმისა, რომ სურათში წითელი ფერი ჭარბობს, მონე მთელ კომპოზიციაში ყვითელ შტრიხებს ხატავს – ყვითელ ყვავილებს სურათის უკანა პლანზე და ცალკეულ ლაქებს, რომლებიც წინა პლანზე, ყაყაჩოებს შორისაა გაბნეული.

4. ჩამქრალი ტონები. ამ სურათის დიდ ნაწილზე ცალკეული მონასმები თითქოს არც ჩანს. თუმცაღა სურათის ამ მონაკვეთის ჩამქრალი ტონები დანინკლულია მკვეთრი ალისფერი შტრიხებით.

5. წითელი მწვანე. მონე ძლიერ იყო გატაცებული კონტრასტით წითელ ყაყაჩოებსა და მწვანე ბალახს შორის. ყაყაჩოებისაგან მიღებული შთაბეჭდილების გადმოსაცემად მონე ყვავილების დეტალურად ხატვას არ შესდგომია, ისინი აღნიშნულია წითელი მონასმებით, რომლებიც პერსპექტივაში თანდათან პატარავდება.

6. წყვილი წინა პლანზე. ბიჭის სახის ნაკვეთები წინა პლანზე მხატვარმა სამი წერტილით აღნიშნა. ლენტი მის ქუდზე მონემ იმავე წითელი ფერით დახატა, რომლითაც ყაყაჩოები. ლურჯ-იისფერი ქოლგა ქალის ხელში მკვეთრად გამოიყოფა ბალახის მკრთალ ფონზე.

დიდი შემოქმედები	
 <p><i>Оскар Клод Моне</i></p>	<p>ოსკარ კლოდ მონე <i>(Oscar Claude Monet)</i></p> <p>ცხოვრების ქრონოლოგია</p>
ცხოვრების წლები	1840–1926
დაბადების ადგილი	პარიზი, საფრანგეთი
განათლება	ბუდენის სკოლა ჰავრში (1858–1859), შვეიცარიული აკადემია (1859–1860), გლეირის სახელოსნო პარიზში (1862–1863)
წოდებები და ჯილდოები	იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; მონეს სახელი ეწოდა კრატერს მერკურიზე
სტილი და ტექნიკა	იმპრესიონიზმი; ფერწერა
ქმნილებების თემები	პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი
ცნობილი ქმნილებები	„იალქნები არჟანტოში“ (1872), „ლანჩის შემდეგ“ (1873-1876), „მანპორტი: კლდის კამარა ეტრეტაში“ (1883), „ქოთნები“ (1916) და სხვ.

შუქი და ფერი კლოდ მონეს ქმნილებებში


მონე, ძირითადად, პეიზაჟის სფეროში მუშაობდა. მან ყურადღება მიაქცია, რომ ერთი და იგივე პეიზაჟი სრულიად სხვაგვარია მზიან და ღრუბლიან ამინდში, დილის ან საღამოს შუქზე. მონეს შემოქმედების უდიდესი მიღწევაა სურათების სერია „თივის ზვინები“, „რუანის ტაძარი“ და „ლონდონის პარლამენტი“.

მონეს სურათებმა ახალ მიმდინარეობა იმპრესიონიზმს დაუდო სათავე, თავად მხატვარი კი აღიარებულია ამ მიმართულების უდიდეს და ყველაზე ტიპურ წარმომადგენლად. მთელი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მონე მტკიცედ მისდევდა იმპრესიონიზმის ძირითად წესებს: აღბეჭდავდა ტილოზე თანამედროვე ცხოვრების სცენებს, პეიზაჟებს და მუშაობდა ღია ცის ქვეშ – პლენერზე.


„რუანის ტაძარი“. სერია. 1892–1894



„რუანის ტაძარი სალამოს“. ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი. 1892



„რუანის ტაძარი. ჰარმონია ყავისფერ ტონებში“. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1892



„რუანის ტაძარი“. ტილო, ზეთი. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1894

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



გუაში, აკვარელი

განსაზღვრეთ

1. აჩვენეთ ნამუშევრებში შუქ-ჩრდილოვანი ობიექტები და ახსენით, რომელი ფერებით შეძლო მხატვარმა მათი გადმოცემა.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. მოაწყვეთ, კლასთან ერთად, ექსკურსია ქალაქში და დახატეთ თქვენი საყვარელი ქუჩის კუთხის პეიზაჟი პლენერზე, ნატურიდან, იმპრესიონიზმის სტილში. ეცადეთ, სურათში გაითვალისწინოთ წელიწადის დრო და დღის საათი.

ოსტატის რჩევები

ეცადეთ, ქალაქში საღებავის მსხვილი, სუფთა მონასმები დადოთ და საჭირო ფერი საღებავების ქალაქშივე, და არა პალიტრაზე, შერევით მიიღოთ.



3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია კლოდ მონეს შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა როლი აქვს კლოდ მონეს იმპრესიონიზმის ჩამოყალიბებაში?
- ✓ ჩამოთვალეთ კლოდ მონეს შემოქმედების ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებები.

დიალოგი ხელოვნებაზე

სახვითი ხელოვნების რომელ ჟანრში ჩანს ყველაზე უკეთ ობიექტების ფორმის, განათებისა და ფერის გამომსახველობა?

გაიხსენეთ

როგორ წარმოიშვა ნატურმორტი? რისი გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი ნატურმორტის შექმნისას?

გაეცანით

ნატურმორტს, როგორც ფერწერის ჟანრს, ხელოვნების ისტორიაში ჰქონდა აღმავლობისა და დაცემის პერიოდები. აღორძინების ეპოქაში, XV–XVI საუკუნეებში, მხატვართა დიდ ტილოებზე ნატურმორტს, როგორც წესი, მოკრძალებული ადგილი ეკავა – საგნები თითქოსდა სურათის კუთხეში შეყუჟულიყვნენ. XVII საუკუნეში – განვითარებული ნატურმორტის ჟანრის ეპოქაში – საგნები სურათების მთავარ გმირებად იქცნენ.



ფრანს სნაიდერსი.
„ნატურმორტი ნანადირევით“.
კერძო კოლექცია. შუა საუკუნეები. 1630

სანდრო ბოტიჩელი. „წმინდა ავეუსტინე“.
აღორძინების ხანა. ონისანტის ტაძრის ფრესკა,
ფლორენცია. 1480

დამოუკიდებელი მნიშვნელობა ევროპაში ნატურმორტმა მხოლოდ XVII საუკუნეში მოიპოვა. ყველაზე სრულად და მთელი ბრწყინვალეობით ეს ჟანრი ფლანდრიასა და ნიდერლანდებში განვითარდა. ამ პერიოდში მხატვრების ყურადღება მიიქცია ეროვნული ყოფის თავისებურებებმა, მშობლიურმა ბუნებამ, საგნებმა, რომლებსაც უბრალო ხალხის შრომისა და ყოფის დალი აჩნდა. სწორედ მაშინ დაიბადა ყოფითი სურათის, პეიზაჟისა და ნატურმორტის დამოუკიდებელი ჟანრები.

განსაკუთრებული განვითარება რეალისტურმა ნატურმორტმა უდიდესი ფრანგი იმპრესიონისტის ედუარდ მანეს შემოქმედებაში ჰპოვა.

თავის ქმნილებებში, საგნების რაოდენობის შემცირებით, იგი ამარტივებს კომპოზიციას. მანესთან ვერ შეხვდებით გადატვირთულობას ან ხელოვნურ სიმრავლეს, რომლებიც ასე უყვარდათ მის წინამორბედებს.

სახვითი ხელოვნების გალერეა


კომპოზიცია, ფერი და შუქი ეღუარდ მანეს ნატურმორტებში



„ნატურმორტი ორაგულით“. კერძო კოლექცია. 1869



„იასამნის თაიგული“. ძველი ეროვნული გალერეა, ბერლინი. 1883

დიდი შამოქმედავი	
	<p>ედუარდ მანე (Edouard Manet) ცხოვრების ქრონოლოგია</p>
ცხოვრების წლები	1832–1883
დაბადების ადგილი	პარიზი, საფრანგეთი
განათლება	ნატიფი ხელოვნების პარიზის სკოლა, ტ. კუტიურის სახელოსნო
წოდებები და ჯილდოები	იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; საპატიო ლეგიონის ორდენი
სტილი და ტექნიკა	იმპრესიონიზმი; ფერწერა
ქმნილებების თემები	ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ცხოვრებისეული სიუჟეტები
ცნობილი ქმნილებები	„ესპანელი გიტარისტი“ (1860), „მუსიკა ტიუილ-რიში“ (1862), „ყურძენი, ატმები და ნუში“ (1864), „აივანზე“ (1868), „საუზმე სახელოსნოში“ (1868), „გასეირნება ნავით“ (1874), „თეთრი იორდასალამები“ (1864) და სხვ.

დაფიქრდით და ახსენით

რა გვიზიდავს ყველაზე მეტად მანეს ნატურმორტებში?

ნატურმორტის ჟანრი თავისებური პრინციპებით გამოირჩევა. ნატურმორტი ხდება ხელოვნების ქმნილება, თუკი მხატვარი ხედავს მის სიუჟეტს, კომპოზიციის თავისებურებებს, ფორმასა და ფერთა გამას, როგორც ერთიან პლასტიკურ მოვლენას.

მანე ნოვატორი მხატვარი იყო, რომელიც ხშირად ხდებოდა ფრანგი კრიტიკოსების თავდასხმების სამიზნე. ოფიციალური აღიარება შემოქმედმა 1882 წელს მოიპოვა, როცა მას საპატიო ლეგიონის ორდენი – საფრანგეთის მთავარი ჯილდო – გადაეცა.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



გუაში, აკვარელი, პასტელის ცარცები

განსაზღვრეთ

- რომელია ნატურმორტის სწორად შესრულებული კომპოზიციის მაგალითი? პასუხი დაასაბუთეთ.



შემოქმედებითი საქმიანობა

- დახატეთ იმ საგნების ნატურმორტი, რომლებიც მოგწონთ.

ოსტატის რჩევები

ნახატის კომპოზიციაზე მუშაობა ფურცლის სივრცეში


კომპოზიციის შექმნისას მნიშვნელოვანია ქალაქის ფურცლის ზომა, საგანთა განლაგების რიტმული თანმიმდევრობა, სიმეტრიის (ასიმეტრიის), ნონასწორობის, კონტრასტების, სიღრმის გამოყენება.



1. შეარჩიეთ ნივთები.
2. შეარჩიეთ ნერტილი, რომლიდანაც ყველაზე უკეთ გაიშლება ნატურმორტის ყველა ნივთი.
3. საბოლოო კომპოზიციის ძებნა აწყობილ ნატურმორტშივე ხდება (რალაცას ვაკლებთ, რალაცას ვუმატებთ, ადგილს ვუცვლით ნივთებს).
4. მომავალი კომპოზიციის შესაბამისად, შეირჩევა ქალაქის ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატი. ფურცელზე სივრცეში ნატურმორტის ნივთები ისე უნდა აისახოს, რომ ყველა მათგანი დაეციოს ქალაქდზე და არ იგრძნობოდეს სივინროვე (და არც სიხალვათე).



ნატურმორტზე მუშაობისას მნიშვნელოვანია ფურცლის ფორმატის არჩევა. მისი განსაზღვრა დამოკიდებულია მხატვრის ჩანაფიქრზე.



5. მსუბუქი ხაზით, პროპორციების დაცვით უნდა დაიხატოს ნივთების სილუეტები ფურცელზე. თუკი კომპოზიცია სწორადაა აგებული, მაშინ შეიძლება უშუალოდ ნახატზე გადასვლა.
 6. უნდა მოიძებნოს ტონალობა და ფერთა გადაწყვეტა.
- 3.** მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ელუარდ მანეს შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა არის მთავარი ნატურმორტის აგებისას?
- ✓ რა არის ელუარდ მანეს შემოქმედების ძირითადი თავისებურებები?

10-11. ოგიუსტ რენუარი: შუქის ახლებური ხელოვნება

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ენოდება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ სურათებს?

გაიხსენეთ

როდის წარმოიშვა ყოფითი ჟანრი?

გაეცანით

ყოფითი ჟანრის საწყისები ჯერ კიდევ უძველეს ნიმუშებში გვხვდება, მაგრამ მისი ძირითადი თავისებურებები XIV–XV საუკუნეებში ჩამოყალიბდა. XVI საუკუნიდან მოყოლებული – უამრავი ევროპელი მხატვრის შემოქმედებითი საქმიანობის წყალობით – იგი დამოუკიდებელ ჟანრად იქცა. ყოფითი ჟანრის შემდგომი განვითარება დაკავშირებული იყო დახვეწილ საყოფაცხოვრებო სცენებთან და სურათებთან, რომლებსაც XVIII საუკუნის ფრანგი ფერმწერები ქმნიდნენ.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ყოფითი ჟანრი ახალ თვისებებს იძენს – ესენია: სიტუაციის ელფერებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოცემისადმი გაძლიერებული ინტერესი და ყოფის მარადიული საიდუმლოებების ახსნისადმი ლტოლვა. იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი სამყაროს ხალისიანი აღქმა განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა ოგიუსტ რენუარის შემოქმედებაში.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ყოფითი ჟანრი ოგიუსტ რენუარის ქმნილებებში



„ლოჟა“. კურტოს გალერეა, ლონდონი. 1874




„ცეკვა მულენ დე ლა გალეტში“. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1876

რენუართან ყოფითი ჟანრი ხშირად პეიზაჟს ერწყმის, ბუნებრივი შუქით განათებული ადამიანების ფიგურები კი, როგორც წესი, ღია ფანჯარასთან, ფანჯატურში და ა. შ. არიან გამოსახულნი.

დაფიქრდით და ახსენით

რა კონტრასტი შეიმჩნევა რენუარის ნახატებზე?

დიდი შემოქმედაი	
 რენუარ	<p style="text-align: center;">პიერ ოგიუსტ რენუარი <i>(Pierre-Auguste Renoir)</i></p> <p style="text-align: center;">ცხოვრების ქრონოლოგია</p>
ცხოვრების წლები	1841–1919
დაბადების ადგილი	ლიმოჟი, საფრანგეთი
განათლება	გლეირის სახელოსნო, ნატიფი ხელოვნების სკოლა
წოდებები და ჯილდოები	საპატიო ლეგიონის კავალერი
სტილი და ტექნიკა	იმპრესიონიზმი; ფერწერა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ყოფა
ცნობილი ქმნილებები	„გაზაფხულის თაიგული“ (1866), „ჭანჭრობი“ (1869), „საქანელა“ (1876), „ჟანა სამარის პორტრეტი“ (1877), „მადამ შარპანტიე შვილებთან ერთად“ (1878), „ნასაუზმევს“ (1879), „ცეკვა ბუჟივალში“ (1883), „გოგონები ფორტეპიანოსთან“ (1892) და სხვ.
გამონათქვამები	დარწმუნებული ვარ, ნახატი სასიამოვნო, მხიარული და მიმზიდველი უნდა იყოს! ქვეყნად ისედაც უამრავი მოსაწყენი რამეა და ამ რამეებისთვის საკუთარი ნახატების დამატება არ ღირს.

„ნიჩოსნების საუზმე“ დეტალებში

ფილიპსის კოლექცია. ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი. 1881

სურათი ფურნების რესტორანში დაიხატა, რომელიც სენის კუნძულზე, შატოში მდებარეობდა. ამ მოდურ ადგილას, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ხვდებოდნენ და დროს ატარებდნენ მხატვრები, პოეტები, მსახიობები და სხვა შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლები. ამ ადგილას შეხვედრის საბაბს წარმოადგენდა იმ დროს მოდური გატაცება ნიჩოსნობით. ტილოზე თავისუფალი და ცოცხალი ატმოსფერო სუფევს, რომელიც ქალაქგარეთ დასასვენებლად გასული ბედნიერი ადამიანების კომპანიისთვისაა დამახასიათებელი.

1.



2.



3.



4.



5.



6.



7.



1. მდინარე. ტენტის კიდესა და ფოთლებს შორის, რომლებიც ტერასას გარს ერტყმის, შეიძლება მდინარეზე მცურავი აფრიანი ნავის დანახვა. ტენტის კუნუბებიანი კიდე აფრას ეხება და ამით ნახატის უკანა და წინა პლანი ერთდება.

2-3. დამახასიათებელი შესტები. კოსტიუმები, პოზები და შესტები მხატვრის მიერ გამოყენებულია გამოსახული პერსონაჟების განწყობის, ხასიათებისა და სოციალური მდგომარეობის გადმოსაცემად. მსახიობივით ჩაცმული ქალი ქუდს ისწორებს. ნიჩბოსანი შემობრუნებულ სკამზე ზის, ხელში კი სიგარეტი უჭირავს.

4. გამყოფი ხაზი. უკანა პლანზე მდგომი გოგონას ფიგურა დაშორებულია ჯგუფს აივნის მოაჯირით.

5. წითლის ანარეკლი. რენუარმა ნახატს მკვეთრი წითელი ფერის ანარეკლები დაუმატა, რათა მისი ელემენტები გაეერთიანებინა. მაგალითად, წინა პლანზე მჯდომი ქალის საყელოს წითელი არშია ეხმიანება მის უკან მდგომი, წყლის ჭიქიანი ქალის გამოსახულების წითელ დეტალებს.

6. მხატვრის ცოლი. ალინ შარიგო, რომელიც შემდგომში რენუარის ცოლი გახდა, სურათზე პატარა ძაღლითაა გამოსახული. ალინის თითები ძაღლის რუხ-მოვერცხლისფრო ბეწვშია ჩამალული.

7. მბრწყინავი ნატურმორტი. მაგიდაზე, ტილოს ცენტრში, შესანიშნავი ნატურმორტია გამოსახული. რენუარის ნამუშევრის დახვეწილობა ბოთლების, ჭიქებისა და ხილის გამოსახვაში მოჩანს. თეთრი სქელი ათინათები აბრწყინებს მაგიდაზე დანყობილ მინის ჭურჭელს.

აღვადგენთ რენუარის ნამუშევარს



1. საწყისი ჩანახატი



2. დასრულებული ფონი



3. ფორმის მიცემა



4. ტონები და ათინათები



5. დამამთავრებელი შტრიხები



6. ნახატის დეტალი

ეს საინტერესოა

ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც მთელ სამოცნელს გაგრძელდა, რენუარმა, დაახლოებით, ექვსიათასი ნახატის შექმნა მოასწრო. მხატვარს არ უყვარდა საგმირო და ტრაგიკული სიუჟეტები, მას ჩვეულებრივი ცხოვრება და მისით მოგვრილი უბრალო სიხარული აინტერესებდა. წლების შემდეგ რენუარმა სახელი გაითქვა, როგორც მსოფლიოში ცნობილმა მხატვარმა და იმპრესიონიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა. ცხოვრების დასასრულს რენუარმა თავისთვის და თავისი ოჯახისათვის მშვენიერი სახლი ააშენა ხმელთაშუა ზღვის სოფელ კან-სურ-მერში. დღეს ეს სახლი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ შესანიშნავ მუზეუმადაა ქცეული.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, პასტელის ცარცები, გუაში ან აკვარელი

განსაზღვრეთ

1. რა ჟანრებში მუშაობდა მხატვარი?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ სცენები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებიდან. ეს შეიძლება იყოს დღესასწაული, ღირსშესანიშნავი მოვლენა ან უბრალო დასვენება.

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ოგიუსტ რენუარის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ როგორ აისახა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება რენუარის ქმნილებებში?

დიალოგი ხელოვნებაზე

შესაძლებელია თუ არა ქანდაკებაში იმავე შთაბეჭდილების მიღწევა, რასაც იმპრესიონისტი ფერმწერები ქმნიდნენ?

გაიხსენეთ

როგორი იყო მოქანდაკეთა ნამუშევრები იმპრესიონიზმამდე? რა ახასიათებდა მათ?

გაეცანით

იმპრესიონიზმმა სული შთაბერა როგორც ფერწერას, ასევე ქანდაკებას. პირველი გენიალური მოქანდაკე, რომელიც ქანდაკების გადასხვაფერებას იმ დროს ცდილობდა, როცა მანე და მონე ფერწერას ცვლიდნენ, იყო ოგიუსტ როდენი.

როდენს, სხვა იმპრესიონისტებისაგან განსხვავებით, აინტერესებდა ადამიანის ფსიქოლოგიური და ემოციური ცხოვრება. ნამუშევართა განგებ დაუმთავრებლობა საშუალებას იძლევა, ვისაუბროთ მასზე, როგორც ერთ-ერთ პირველ ოსტატზე, რომელმაც ქანდაკებაში იმპრესიონიზმის ტექნიკას მიმართა.

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, თუ რა მოიტანა როდენმა ქანდაკებაში, მისი „მოაზროვნე“ წარმოადგენს. უსწორმასწორობებისა და ღარების გამო ქანდაკების დამუშავებულ ზედაპირზე გაპრიალებული ბრინჯაო მუდამ ცვალებადი ანარეკლებით ბზინავს.

ოგიუსტ როდენი, თავის ბევრ ნამუშევარში, ცდილობდა გადმოეცა ადამიანის სახის გამომეტყველების ან პოზის წამიერი გაელვება. განსაკუთრებული ადგილი მის შემოქმედებაში უჭირავს სკულპტურულ ჯგუფს „ქალაქ კალეს მოქალაქეები“ – ბრინჯაოს რეალისტურ, მონუმენტურ ქანდაკებას, რომელიც ასწლიანი ომის ერთ-ერთ ეპიზოდს ეძღვნება. როდენმა შეძლო, გადმოეცა სრულიად განსხვავებულ, მაგრამ ერთი ხვედრით გაერთიანებულ ადამიანთა გმირული სახეები.

ქანდაკების ექვსივე ფიგურა თითქმის ადამიანის სიმაღლისაა. როდენმა არ დაამზადა პოსტამენტი, მას სურდა, რომ კალეს გმირები ადამიანებზე მაღლები არ ყოფილიყვნენ და მათ შორის მდგარიყვნენ, სწორედ იმ მოედანზე, საიდანაც ერთ დროს წავიდნენ.

სახვითი ხელოვნების გალერეა

მოძრაობა და ემოციები ოგიუსტ როდენის ქმნილებებში



„მოზროვენე“. ბრინჯაო. სიმაღლე 181 სმ. როდენის მუზეუმი, პარიზი. 1880–1882



„კალეს მოქალაქეები“. ბრინჯაო. სიმაღლე 200 სმ. კალე, საფრანგეთი. 1884–1888


დაფიქრდით და ახსენით

როგორ უკავშირდება როდენის სკულპტურული ხერხი იმპრესიონისტების ფერწერას? როგორ იყენებს როდენი შუქისა და ჩრდილის თამაშს მოცულობითი ფორმის შექმნისას?

მოძრაობა როდენისათვის იყო სიცოცხლის გამოხატულების ძირითადი ფორმა ქანდაკებაში. მისი ქმნილებების კიდევ ერთი თავისებურებაა მათი ემოციურობა. როდენის გმირები ძლიერი გრძნობებით არიან შეპყრობილნი – სიყვარულით, ტკივილით, სასონარკვეთით – და მოქანდაკეც აღწევს ამ მდგომარეობების დამაჯერებლად ასახვას.

ადამიანის ხასიათის, მისი შინაგანი სამყაროს გადმოცემის სიმძაფრე და მთლიანობა ასევე დამახასიათებელია მოქანდაკის პორტრეტული ბიუსტებისათვის.

როდენის შემოქმედებაში ბევრი ნარეჟი ნარეჟობა, მწარე იმედგაცრუება და მარცხი იყო, რომლებსაც იგი იტალიური აღორძინების დიდ შემოქმედთა შესაფერი ვაჟკაცობით უმკლავდებოდა. მაგრამ ფრანგი მოქანდაკის ცხოვრებაში დიდი გამარჯვებებიც ყოფილა. მან თავად განიცადა და ყველაზე უფრო გულწრფელად გადმოსცა უღრმესი ადამიანური გრძნობები ბრინჯაოსა და მარმარილოში.


დიდი შემოქმედები	
	ფრანსუა ოგიუსტ რენე როდენი <i>(François Auguste René Rodin)</i> ცხოვრების ქრონოლოგია
ცხოვრების წლები	1840–1917
დაბადების ადგილი	პარიზი, საფრანგეთი
განათლება	ორას ლეკოკ დე ბუაბოდრანის შეგირდი
წოდებები და ჯილდოები	საპატიო ლეგიონის ორდენი, ლეოპოლდ I-ის ორდენი
სტილი და ტექნიკა	იმპრესიონიზმი; ქანდაკება
ქმნილებების თემები	პორტრეტი, სიუჟეტური ნამუშევარი
ცნობილი ქმნილებები	„ბრინჯაოს საუკუნე“ (1877), „დაცემული კარიატიდი“ (1882), „მარადიული კერპი“ (1889), „ბალზაკის ქანდაკება“ (1897), „რომეო და ჯულიეტა“ (1905), „მარადიული გაზაფხული“ (1900), „პოეტი და მუზა“ (1900) და სხვ.



საიტი ოგიუსტ როდენის შემოქმედებაზე
<http://www.musee-rodin.fr/>

იცით თუ არა?

მკაცრად ხაზგასმული ფორმების წყალობით, როდენის ქანდაკება ნებისმიერ განათებაში ინარჩუნებს შუქ-ჩრდილის თამაშის თავისებურებებს. მანესა და მონესათვის მთავარ რეალობას წარმოადგენდა ფერადი მონას-



„ვიქტორ ჰიუგო“. მარმარილო. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი. 1883



„ანრი როშფორი“. ბრინჯაო. დასავლური ხელოვნების მუზეუმი, ტოკიო. 1884



„გოგონა ვარდებით შემკული ქუდით“. ბრინჯაო. როდენის მუზეუმი. 1865–1870

მები, როდენისათვის კი მთავარი იყო თიხის მორჩილი გუნდები, რომლებიც სგანაც იგი ფიგურებს ძერწავდა.

საყვარელი ხერხის – „დაუმთავრებლობის“ – ჯიუტად გამოყენებით, იგი იცავდა ქანდაკებას რეალობის მექანიკურ ასლად ქცევისაგან, ისევე, როგორც მანემ აარიდა ფერწერას ფოტოგრაფიული სიზუსტე.

მის ნამუშევრებში ასახულია სამყაროს უმაღლესი ჰარმონია და სასონარკვეთა, ამალღებული ლირიზმი და მკაცრი დაძაბულობა. მისი ყოველი ქანდაკება გენიალური ოსტატის ზეშთაგონების ხორცშესხმაა.

დიდი მოქანდაკის ბევრი ნამუშევარი ინახება ორსეს მუზეუმსა და როდენის მუზეუმებში პარიზსა და ფილადელფიაში.

როდენმა – პლასტიკის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენმა გამოჩინილმა მოქანდაკემ და XIX საუკუნის ერთ-ერთმა უბრწყინვალესმა ოსტატმა – უდიდესი გავლენა მოახდინა ქანდაკების შემდგომ განვითარებაზე. მის ნამუშევრებში ადამიანის სხეულის მოძრაობა ემოციებად გარდაისახება, ხოლო ფიგურების ბუნებრივი და თავისუფალი მდგომარეობა, რომელიც უცნობი იყო როდენამდელი ქანდაკებისათვის, ადამიანის შინაგანი ცხოვრების სიმდიდრეს ასახავს.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



პლასტიკის ან თიხა

განსაზღვრეთ

1. ჩამოთვალეთ ქანდაკების სახეები (მრგვალი და რელიეფური) და დარგები (მონუმენტური, მონუმენტურ-დეკორატიული, დაზგური) როდენის ნამუშევრებს შორის.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. გამოძერწეთ, სურვილისამებრ, ქანდაკება ან ბიუსტი იმპრესიონიზმის სტილში. არ გაასწოროთ შესრულებული ნამუშევარი, არამედ დატოვეთ მასზე გუნდები, კოშტები. ეცადეთ, გადმოსცეთ მოძრაობა ან ემოციები.

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ოგიუსტ როდენის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა კავშირია იმპრესიონისტულ ფერწერასა და ქანდაკებას შორის?
- ✓ რა წვლილი მიუძღვის როდენს ქანდაკების განვითარებაში?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ხერხებით გამოიხატება გრძნობები, ემოციები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში?

გაიხსენეთ

ფუნჯით მუშაობის რომელ ტექნიკურ ხერხებს იცნობთ?

გაეცანით

იმპრესიონისტებთან ერთად, საფრანგეთში ჩნდება ვინსენტ ვან გოგი, ვისი ხელოვნებაც მჭიდროდაა დაკავშირებული ფრანგული ფერწერის განვითარებასთან. გამორჩეული, თვითმყოფადი ინდივიდუალობის მქონე ვან გოგმა საკუთარი ფერწერული მანერა შეიმუშავა.

ვან გოგის შემოქმედებაში აისახა რთული, გარდატეხის მომენტი ევროპული კულტურის ისტორიაში. მხატვრის შემოქმედება მგზნებარე ცხოვრების, უბრალო მშრომელი ადამიანის გაუნელებელი სიყვარულით. სწორედ აქედანაა ვან გოგის განსაკუთრებული შემოქმედებითი შეპყრობილობა, მისი მძაფრი ექსპრესია და ტრაგიკული პათოსი. ეს ყველაფერი განსაზღვრავს მხატვრის განსაკუთრებულ ადგილს **პოსტიმპრესიონიზმში**¹, რომლის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენლადაც ის იქცა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ვან გოგის ნახატების ძლევამოსილი უბრალოება: მზესუმზირები

„ლარნაკი თხუთმეტი მზესუმზირით“.
ეროვნული გალერეა, ლონდონი. 1888

„ლარნაკი თორმეტი მზესუმზირით“.
ფილადელფიის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, აშშ. 1889



¹ **პოსტიმპრესიონიზმი** (ფრანგ. *postimpressionisme*, ლათ. *post* – შემდგომი და *იმპრესიონიზმი*) – მიმდინარეობა სახვით ხელოვნებაში. ამ მიმდინარეობის მხატვრები უარს ამბობდნენ მხოლოდ ხილული სინამდვილის (როგორც რეალისტები) ან წამიერი შთაბეჭდილებების (როგორც იმპრესიონისტები) ასახვაზე, არამედ ცდილობდნენ, გამოესახათ სინამდვილის ძირითადი ელემენტები, გარესამყაროს განგრძობითი მდგომარეობები, ცხოვრების არსი, რისთვისაც, ზოგჯერ, დეკორატიულ სტილიზაციას მიმართავდნენ.



„ოთხი მოჭრილი მზესუმზირა“.
კროლერ-
მიულერის
მუზეუმი,
ნიდერლანდები.
1887

მზესუმზირების ამსახველი სურათების სერია მხატვრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი გახდა. მზესუმზირები ვან გოგის ფერწერის სიმბოლოდ ითვლება. ამ ყვავილს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: ყვითელი ფერი მეგობრობასა და იმედს განასახიერებს. იგი მზის, მწიფე თავთავებისა და მზესუმზირების ფერია. მზესუმზირები მხატვრისათვის მნათობის სიმბოლოდ იქცა.

„ლარნაკი თხუთმეტი მზესუმზირით“ დეტალებში
ეროვნული გალერეა, ლონდონი. 1888



1. **მზესუმზირის თავი (კალათი).** მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი სწრაფად ხატავდა, მზესუმზირები დაჭკნობას ასწრებდნენ, ფოთლებს კარგავდნენ და თესლებით სავსე ნარინჯისფერ თავებს აჩენდნენ.

2. **წული ფაქტურა.** ერთი შეხედვით, ყვითელი ფონი ბრტყლად გვეჩვენება, მაგრამ მის ერთფერ ზედაპირს უჩვეულო ფაქტურა აქვს. ფუნჯის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონასმები ერთმანეთს კვეთს და წული კალათის შთაბეჭდილებას ქმნის.

3. **ძლიერი მონასმი.** მხატვარი ფუნჯით ბევრ საღებავს იღებდა და ტილოზე ისე ძლიერად დაჰქონდა, რომ მონასმის ორივე მხარეს კვალი რჩებოდა.

4. **ჩანართები.** ვინსენტს ღეროები მწვანე საღებავის ჰორიზონტალური მონასმებით აქვს ჩახატული.

5. **ხელმონერა.** ხელმონერის ფერი და მდებარეობა მას სურათის გაფორმების მნიშვნელოვან ელემენტად აქცევს.

6. **წვრილი ლურჯი ზოლები.** შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ვან გოგი საღებავით ავსებდა სივრცეს ორ ლურჯ ზოლს შორის, თუმცადა, სინამდვილეში, ეს ვერტიკალური ხაზები ორფერ ფონზე მოგვიანებითაა დამატებული. ლურჯი ხაზი მოხდენილად აკავშირებს ლარნაკს ფონთან.

7. **თეთრი ათინათები.** თეთრი ათინათების წყალობით, რომლებიც **იმპასტოს**¹ ტექნიკითაა დატანილი, ლარნაკი მოცულობითი ჩანს.

დიდი შემოქმედები

 <p>Vincent</p>	<p>ვინსენტ ვან გოგი <i>(Vincent van Gogh)</i></p> <p>ცხოვრების ქრონოლოგია</p>
<p>ცხოვრების წლები</p>	<p>1853–1890</p>
<p>დაბადების ადგილი</p>	<p>გროტ-ზიუნდერტი, ნიდერლანდები</p>
<p>განათლება</p>	<p>ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემია ბრიუსელში (1880–1881), კერძო გაკვეთილები ფერმწერ ანტონ მაუ-ვესთან ჰააგაში (1881–1882), ანტვერპენის ხატვის აკადემიასთან არსებული ფერწერის კლასი (1885–1886)</p>
<p>სტილი და ტექნიკა</p>	<p>პოსტიმპრესიონიზმი; ფერწერა, გრაფიკა</p>
<p>ქმნილებების თემები</p>	<p>პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი</p>
<p>ცნობილი ქმნილებები</p>	<p>„წითელი ვენახები არლში“ (1888), „ძველი ნისქვილი“ (1888), „აყვავებული ზამბახები“ (1889), „კარტოფილის მჭამელები“ (1885), „სენ-პოლის ჰოსპიტალის პარკი“ (1889), „აყვავებული ნუშის ტოტები“ (1890), „ექიმ გაშეს პორტრეტი“ (1890) და სხვ.</p>

¹ **იმპასტოს** ტექნიკას ვან გოგი ყველა მხატვარზე უკეთ ფლობდა. ეს ტერმინი იტალიური სიტყვა *pasto*-დან მოდის და აღნიშნავს სქელ ფენად დატანილ საღებავს, ზედ იმ ინსტრუმენტის – როგორც წესი, ფუნჯის ან მასტიხინის – კვალით, რომლითაც ის დაიტანეს. ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა შეიქმნას ძლიერი მოცულობითი ეფექტი – გამოსახულება თითქოსდა ამოსულია ტილოდან.



საიტი ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებაზე
<http://vangogh-world.ru/>

ეს საინტერესოა

ვან გოგის სურათი „ვარსკვლავებიანი ღამე“ დღესაც შთააგონებს ხელოვნებს – არა მხოლოდ ფერწერაში, არამედ ლიტერატურასა და ცხოვრებაშიც. ცაში ატყორცნილი კვიპაროსები ცეცხლის ენებს მოგვაგონებს, მინა კი კოსმოსურ სივრცეში მფრინავ პლანეტად აღიქმება. მზის მსგავსი ვარსკვლავების ბურთები თითქოს ამთავრებენ სინათლის წყაროს მოტივს. სურათზე თერთმეტი უზარმაზარი ვარსკვლავია და დიდი, მაგრამ ნაკლები მთვარე. გრიგალი ცაში აღვიძებს ფიქრს ირმის ნახტომზე, გალაქტიკებსა და კოსმოსურ ჰარმონიაზე.

ვან გოგი ფანქრითაც შესანიშნავ ჩანახატებს აკეთებდა, იგი იყენებდა სრულიად განსხვავებულ, სრულიად უჩვეულო შტრიხებს. ფუნჯით შესრულებული წყვეტილი მონასმი-შტრიხები – ეს ძირითადი ხერხია, რომელსაც მხატვარი ამ ნახატზე მუშაობისას იყენებდა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გამოსახულება სადღაც მიიწევს, გამუდმებით იცვლება.



„ვარსკვლავებიანი ღამე“. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი. 1889

დაფიქრდით და ახსენით

რა ხერხებს იყენებდა მხატვარი ფუნჯით მუშაობისას?

ავტოპორტრეტები. პორტრეტი ვან გოგისათვის ადამიანის სულის გამოკვლევაა, მცდელობა, ზედაპირზე ამოიტანოს ის, რაც თითქოს ცნობიერების სიღრმეშია დამალული. უჩვეულო ტექნიკის მიუხედავად, ვან გოგის პორტრეტები გვანცვიფრებენ გამოსახული ადამიანის სულისა და აზრების გამომხატველობით.


ვან გოგმა უამრავი ავტოპორტრეტი დახატა – დიდ მხატვრებს შორის ყველაზე მეტი. რემბრანდტის მსგავსად, მხატვარი დაწვრილებით შეისწავლიდა თავის თავს – ეს მისთვის სამყაროს შეცნობისაკენ მიმავალი გზა იყო.



„ავტოპორტრეტი ჩალის ქუდით“. ვინსენტ ვან გოგის მუზეუმი, ამსტერდამი, ჰოლანდია. 1887



„ავტოპორტრეტი შეხვეული ყურით“. კურტოლდის გალერეა, ლონდონი, ინგლისი. 1889



„ავტოპორტრეტი“. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1889

ვან გოგის სიცოცხლეში მის სურათებს არ აფასებდნენ. ეს მხოლოდ მოგვიანებით მოხდა. მან მიაღწია ხელოვნებაში დღემდე არნახულ ფერის ემოციურ ზემოქმედებას მონასმისა და ხაზის დინამიკურობას, ფორმის მკვეთრ გამომსახველობას.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



პასტელის ცარცები, აკვარელი ან გუაში

განსაზღვრეთ

1. როგორია კოლორიტი მხატვრის ნამუშევრებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ ვინსენტ ვან გოგის ერთ-ერთი სურათის ასლი. ეცადეთ, აჩვენოთ – ცარცებით ან გუაშით – ფორმის, ფერისა და ხაზის გამომსახველობა ნახატზე.

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა საერთო აქვს ვან გოგს დიდ ჰოლანდიელ მხატვარ რემბრანდტან?

15-16.

პოლ გოგენი: ფერისა და ხაზის გამართიკება. სიმბოლიზმი

დიალოგი ხელოვნებაზე

რა განასხვავებს სხვადასხვა მხატვრების ქმნილებებს? რა შეიძლება, ითქვას ნახატის თემაზე, კოლორიტზე, შესრულების ტექნიკაზე?



კლოდ მონე. „მანზორტი (თალოვანი კლდე, ეტრეტას დასავლეთი)“. მეტროპოლიტენის მუზეუმი, ნიუ-იორკი. 1883



პოლ გოგენი. „არეარეა. ანცი ხუმრობა. სიხარული“. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1892

გაიხსენეთ

როგორ იყენებდნენ იმპრესიონისტი მხატვრები ფერსა და სინათლეს ფერწერაში?

გაეცანით

პოსტიმპრესიონიზმის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი, რომელმაც თავისი განუმეორებელი გამომსახველობითი ენა შექმნა, იყო პოლ გოგენი. გოგენი ხატავდა არა იმას, რასაც ხედავდა, არამედ იმას, რისი დანახვაც სურდა. თანამედროვე საზოგადოების მიუღებლობამ გააღვივა მხატვარში ინტერესი არქაული საბერძნეთის ცხოვრების წესისა და ხელოვნების, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და პირველყოფილი კულტურებისადმი. გოგენის სურათების სიბრტყითობა, ორნამენტულობა, ფერების სიმკვეთრე მოგვაგონებს დეკორატიულ ქსოვილებს და აღმოსავლეთის ხალხის ხელოვნებასაც კი.

1880-იანი წლების ბოლოს საფრანგეთში პოლ გოგენი და მისი მიმდევრების ჯგუფი მიმართავდა მკვეთრ კონტურულ ხაზებს, განაზოგადებდა და ამარტივებდა ფორმებს და რიტმულად განალაგებდა ფერთა დიდ სიბრტყეებს. ისინი, მცდელობისას, ხორცი შეესხათ საძიებელი სიმბოლოებისათვის თავად პლასტიკური ფორმის ხასიათში, **სიმბოლიზმს**¹ დაუახლოვდნენ. სიყვარული, სიკვდილი, ტანჯვა – ეგრეთწოდებული მარადიული თემები – სიმბოლიზმის მთავარი მოტივებია.

¹ **სიმბოლიზმი** (ფრანგ. *symbolisme*, ბერძნული *symbolon*-იდან – ნიშანი, სიმბოლო) – ერთ-ერთი უდიდესი მიმდინარეობა ფერწერაში, რომელიც 1870–80-იან წლებში წარმოიშვა და უმაღლეს განვითარებას XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. სიმბოლიზმი ხშირად იყენებს იდუმალებას ხელოვნების ნიმუშებისადმი ყურადღების მისაპყრობად.

სახვითი ხელოვნების გალერეა

მკვეთრი კოლორიტი და ყოფიერების თემები პოლ გოგენის ქმნილებებში




„ბრეტონული პეიზაჟი ლორების მწყემსით“. ნორტონ საიმონის კოლექცია, ლოს-ანჯელესი. 1888



„რა არის ახალი?“. ახალი ოსტატების გალერეა. დრეზდენი, გერმანია. 1892

დაფიქრდით და ახსენით

რა იყო მთავარი მხატვრის სურათებში?

დიდი შემოქმედები	
 <i>Paul Gauguin</i>	ეჟენ ანრი პოლ გოგენი <i>(Paul Gauguin)</i> ცხოვრების ქრონოლოგია
ცხოვრების წლები	1848–1903
დაბადების ადგილი	პარიზი, საფრანგეთი
განათლება	კოლაროსის აკადემია
სტილი და ტექნიკა	პოსტიმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, მოდერნი; ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კერამიკა
ქმნილებების თემები	ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი სიუჟეტები
ცნობილი ქმნილებები	„პეიზაჟი არლის მიდამოებში“ (1888), „წყალმცენარეების შემგროვებლები“ (1889), „დიდი ხეები“ (1891), „ქალი ნაყოფით“ (1893), „ბრეტონული პეიზაჟი. დავიდის წისქვილი“ (1894), „ხეილის კრეფა“ (1899) და სხვ.




საიტი პოლ გოგენის შემოქმედებაზე
<http://поль-гоген.pdf/>

ეს საინტერესოა

პოლ გოგენის ცნობილ სურათში დაშიფრული 15 სიმბოლო

პოლ გოგენის სურათს „საიდან მოვიდვართ? ვინ ვართ? საით მივდივართ?“, რომელიც 1897–1898 წლებში დაიხატა და დაცულია ნატიფი ხელოვნების მუზეუმის (ბოსტონი, აშშ) კოლექციაში, ერთი თავისებურება აქვს: ის მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება. ტილოს ზედაპირზე გოგენმა ასახა ადამიანური ცხოვრების ისტორია დაბადებიდან სიკვდილამდე და მნივე ნაყოფებისაკენ ხელანვდილი კერპის გარშემო განლაგა ის.



1. **მძინარე ბავშვი** სიმბოლოა ადამიანის სულისა, მის მიწიერ განსხეულებამდე.
2. **ძალი** იმ უბედურებების სიმბოლოა, რომლებიც ადამიანს დედამიწაზე ელის.
3. **სამი ქალი** ადამიანის სულის სხეულის გარსში ყოფნის პირველი (დაბადებამდე) სტადიის სიმბოლოა.
4. **მამაკაცი, რომელიც სიკეთისა და ბოროტების ხიდან ნაყოფს წყვეტს** ადამიანში სამყაროს საიდუმლოთა შეცნობის სურვილის გაღვიძების სიმბოლოა.
5. **თავზე ხელშემოდებული ფიგურა** ადამიანის სულის განვითარების მეორე სტადიას ასახავს, როცა ის სასონარკვეთილია „ყოფის შეკითხვებზე“ პასუხის გაცემის შეუძლებლობის გამო.
6. **ნითლით შემოსილი ორი ფიგურა** განასახიერებს სულიერი განვითარების მესამე საფეხურს, როცა ადამიანი ანალიზის უნარს იძენს.
7. **ფრინველი** სულიერი გზის სიმბოლოა, რომელიც ძველევგებური ხელოვნებიდანაა აღებული.
8. **შავით მოსილი ქალი** სულის განვითარების უმაღლესი სტადიის სიმბოლოა, როცა იგი წვდება თავისი მიწიერი გარდასახვის აზრს. აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სული ტანჯვით უნდა გამოიწრთოს.
9. **წყარო** მარადისობის სიმბოლოა.
10. **ლვთაების ქანდაკება** განასახიერებს განთავისუფლებული სულის ზეცად აღდგომის იმედს.
11. **მოზარდის ფიგურა** სიმბოლოა მათი სულის განვითარების ჩანასახოვანი დონისა, ვისაც ჯერაც არ გაჰღვიძებია თვითშემეცნებისაკენ სწრაფვა და ვისთვისაც მხოლოდ სხეულებრივი ცხოვრებაა ცნობილი.
12. **თხა, კნუტი და ლეკვი**, გოგენის სიტყვებით, სიმბოლოებია უდარდელი ცხოვრებისა, რომლითაც მატერიალური ბუნების სამეფო ცხოვრობს და რომელსაც სულიერი ძიების ტკივილი არ განუცდია.

13. შიშველი ფიგურა სიმბოლოა გრძნობისმიერი ტკბობისა, რომელსაც ელ-
ტვის ის, ვინც მატერიალური სამყაროს კანონებით ცხოვრობს.

14. დედაბერი სხეულის კვდომისათვის განწირულობის სიმბოლოა.

15. ფრინველი ხვლიკით კლანჭებში, გოგენის სიტყვებით, სიკვდილის გარდუ-
ვლობის სიმბოლოა.

გოგენის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია პრიმიტივიზმის¹ თავი-
სებურებებიც. პრიმიტივიზმისათვის სანიმუშოდ იქცა პირველყოფილი ხელოვნება,
აფრიკის, ოკეანიისა და ამერიკის ხალხთა ტრადიციული ხელოვნება, არქაიკა (VII-
VI საუკუნეები ჩვ. წ. აღ-მდე), შუა საუკუნეების ხელოვნება, ხალხური ხელოვნება
და, ასევე, ბავშვთა შემოქმედება.

სიუჟეტებს ფერწერაში, რომლებიც სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ელე-
მენტებიათაა გაჯერებული, მოდერნი² ეწოდება. მათი რთული რიტმი ხაზოვან კომ-
პოზიციაში ეხამება ორიგინალურ დეკორატიულ ელემენტებს. ამ სტილის პირველი
და უმთავრესი ნიშანია ფორმათა სპეციფიკური სინარჩარე. მოდერნის ცნობილ
მხატვართა ნამუშევრებში შენიშნავთ, რომ მათში არ არის სიღრმის ჩვეული
ეფექტი. გამოსახულებები ბრტყელია, თითქოს აპლიკაციები იყოს.

პოლ გოგენის სურათები, ფერის მიხედვით – დეკორატიული და ემოციური,
კომპოზიციის მიხედვით – სიბრტყითი და მონუმენტური, ნახატის მიხედვით კი –
განზოგადებულ-სტილიზებული, ახლოს იდგა იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში
მყოფ მოდერნის სტილთან და დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის მხატვართა
შემოქმედებაზე.

პოლ გოგენმა, პოსტიმპრესიონიზმის ერთ-ერთმა უმთავრესმა წარმომად-
გენელმა, სიმბოლიზმთან და მოდერნის სტილთან ახლოს მდგომმა მხატვარმა, მი-
მართა სინთეტურ განზოგადებებსა და ფერისა და ხაზის გამარტივებას. გოგენმა
სახელი და აღიარება სიცოცხლეში ვერ მოიპოვა, თუმცაღა მას დიდად აფასებდნენ
პოსტიმპრესიონიზმის ცნობილი ოსტატები.

ეს საინტერესოა

პოლ გოგენის ცხოვრება დაედო საფუძვლად სომერსეტ მოემის რომანს
„მთვარე და ექვსპენიანი“.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები, გუაში

განსაზღვრეთ

1. ა) რომელი მიმართულებებია ასახული ამ სურათებში?
პასუხი დაასაბუთეთ.

¹ პრიმიტივიზმი (პრიმიტივიდან) – მიმდინარეობა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის
დასაწყისის სახვით ხელოვნებაში, რომლის მიმდევრებიც განგებ ამარტივებდნენ ნახატს, ბავშვის ან
პირველყოფილი ადამიანის ნახატების მსგავსად, მის ფორმებს პრიმიტიულს ხდიდნენ. პრიმიტივიზმი
აღნიშნავს არაპროფესიონალების ფერწერას ან პროფესიონალების სტილიზებულ ფერწერას.

² მოდერნი (ფრანგული სიტყვიდან moderne – თანამედროვე, უახლესი) – მიმდინარეობა ხელოვნებაში,
რომელიც ყველაზე მეტად XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში იყო გავრცელებული.
მისი თავისებურებებია სწორ ხაზებსა და კუთხეებზე უარის თქმა, „ბუნებრივი“ ხაზების სასარგებლოდ,
ახალი ტექნოლოგიებისადმი ინტერესი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების აყვავება.




ედგარ დეგა. „უოკეი ტრიბუნის წინაშე“. ორსეს მუზეუმი, პარიზი. 1869–1872



პოლ გოგენი. „ცხენოსნები პლაჟზე“. სტავროს ნიარხოსის კოლექცია. 1902

ბ) რას აღნიშნავენ ეს სიმბოლოები?



შემოქმედებითი საქმიანობა

- დახატეთ თავშესაქცევი ნახატი, რომელშიც სხვადასხვა სიმბოლოები აისახება ან უბრალოდ სიმბოლური ნახატი. ისაუბრეთ სიმბოლოების მნიშვნელობაზე და ახსენით, რატომ გამოსახეთ სწორედ ეს ნიშნები.
- მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია პოლ გოგენის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა ახასიათებს პოლ გოგენის შემოქმედებას?
- ✓ განმარტეთ სიმბოლიზმის, პრიმიტივიზმისა და მოდერნის ძირითადი თვისებები.

17-18. ანრი მატისი: ფორმა, ფერი და დეკორატიულობა ფერწერაში

დიალოგი ხელოვნებაზე


რაზეა დამოკიდებული ფერწერული ნახატის ზემოქმედება ადამიანზე?

გაიხსენეთ

რა არის კონტრასტული ფერები? ჩამოთვალეთ ისინი.

გაეცანით

პარიზის ერთ-ერთ სამხატვრო სალონში თავიანთ ნამუშევრებს ფენდენ ცნობილი მხატვრები – მათ შორის იყო ანრი მატისი, თავისი ნახატით „ქალი მწვანე ქუდით“. პორტრეტიდან შემოგვცქერის ჩვენკენ ნახევრად შემობრუნებული ქალი მაღალი ქუდით. სახის ასიმეტრიული ნაკვეთითა და „ველური“ ფერებით ეს გამოსახულება იმდენად არ ჰგავდა რეალურ ადამიანს, რომ შეუძლებელი იყო, მახინჯად არ მოგჩვენებოდა. მატისმა მაქსიმალურად გააძლიერა ფერთა ჟღერადობა და აბსურდამდე დაიყვანა ის. სურათი აყალიბებს წარმოდგენას ფერთა შეხამების ჰარმონიაზე, რომელიც მანამდე ევროპულ ფერწერაში არ გვხვდებოდა. ამ ნამუშევარმა სკანდალური ფურორი მოახდინა და სათავე დაუდო ახალ მიმდინარეობას, **ფოვიზმს**¹.



ქალი ქუდით.
კერძო კოლექცია.
1905

სახვითი ხელოვნების გალერეა

მატისის ტილოები, შექმნილი ისლამური ხელოვნების ნიმუშების ძლიერი ზეგავლენით და წარმოდგენილი მიუნხენის გამოფენაზე.



„დეკორატიული ფიგურა ორნამენტის ფონზე“. თანამედროვე ხელოვნების ეროვნული მუზეუმი, ჟორჟ პომპიდუს ცენტრი, პარიზი, საფრანგეთი. 1926



„ჰარმონია ნიუელ ტონებში“. ერმიტაჟი. 1908

¹ **ფოვიზმი** (ფრანგული სიტყვიდან *fauve* – ველური) – მიმდინარეობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ფრანგულ ფერწერაში. ფოვიზმისათვის დამახასიათებელია სივრცის, მოცულობისა და მთელი ნახატის მკვეთრი განზოგადება, ფორმის მარტივ მოხაზულობამდე დაყვანა, შუქ-ჩრდილსა და ხაზოვან პერსპექტივაზე უარის თქმა.

ფოვისტები მხოლოდ სუფთა და კონტრასტულ ფერებს მიმართავდნენ და პრინციპულად არ იყენებდნენ ჩრდილს. მათ არ სურდათ თავიანთ ფერწერაში რეალობის ილუზიის შექმნა. ფოვიზმისათვის დამახასიათებელია ფორმის მარტივ მოხაზულობამდე დაყვანა და, ამასთანავე, შუქ-ჩრდილის მოდელირებასა და ხაზოვან პერსპექტივაზე უარის თქმა.

მატიის ხელოვნების სხვადასხვა ჟანრსა და სახეობაში მუშაობდა და მრავალფეროვან ტექნიკას იყენებდა. ესკიზების შექმნის პროცესში მატისმა ფერადი ქაღალდებიდან გამოჭრის ტექნიკას – **დეკუპაჟ**² მიმართა.



„პოლინეზია, ზღვა“. ფერადი ქაღალდის ამონაჭერი, გუაში. თანამედროვე ხელოვნების ეროვნული მუზეუმი, უორჟ პომპიდუს ცენტრი, პარიზი. 1946




„სამეფო ბატი“. ფერადი ქაღალდის ამონაჭერი. თანამედროვე ხელოვნების ეროვნული მუზეუმი, უორჟ პომპიდუს ცენტრი, პარიზი. 1952



„იკაროსი“. ილუსტრაცია წიგნისათვის „ჯაზი“, ქაღალდის ამონაჭერის ანაბეჭდი. 1947

დიდი შემოქმედევი

 <i>მატიჟე</i>	ანრი ემილ ბენუა მატისი <i>(Henri Matisse)</i> ცხოვრების ქრონოლოგია
ცხოვრების წლები	1869–1954
დაბადების ადგილი	ლე-კატო-კამბრეზი, საფრანგეთი
განათლება	ჟიულიანის აკადემია
წოდებები და ჯილდოები	საპატიო ლეგიონის ორდენი (1925)
სტილი და ტექნიკა	ფოვიზმი; ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (აპლიკაცია)
ქმნილებების თემები	პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი
ცნობილი ქმნილებები	„ცხოვრების სიხარული“ (1905–1906), „წითელი ოთახი“ (1912), „საოჯახო პორტრეტი“ (1914), „მუსიკის გაკვეთილი“ (1917) და სხვ.

² დეკუპაჟი (ფრანგული სიტყვიდან *decouper* – ამოჭრა) – საგნების დეკორირების ტექნიკა, რომელიც ეფუძნება ამოჭრილი ნახატის, სურათის ან ორნამენტის დაკვრას საგანზე და მიღებული კომპოზიციის ლაკით დაფარვას ეფექტურობის, დაცულობისა და გამძლეობისათვის.

დაფიქრდით და ახსენით

რისი გამოხატვა სურდა მატისს თავის ქმნილებებში? როგორ გესმით ეს?

სურათები „ცეკვა“ და „მუსიკა“ მხატვრის ქმნილებებს შორის ყველაზე ცნობილია. „ცეკვა“ გვანცვიფრებს უბრალოებითა და დინამიზმით. მხატვარმა ხორცი შეასხა მოგონებას კაცობრიობის ბედნიერ არსებობაზე ამქვეყნად.



„ცეკვა“. ერმიტაჟი. 1910



„მუსიკა“. ერმიტაჟი. 1910

ორი ტილო – ერთი – ხუთი მოცეკვავით, მეორე კი – ხუთი ცეცხლისფერი, მჯდომარე ფიგურით – მსგავსია ფერთა გამის, ფორმის სიბრტყითი წაკითხვისა და თემის განყენებულობის მიხედვით, მაგრამ ურთიერთსაპირისპიროა რიტმით. „ცეკვა“ და „მუსიკა“ ბუნების სტიქიების – ცეცხლის, მიწისა და ჰაერის – სიმბოლოებს წარმოადგენს.

სახელგანთქმულმა მხატვარმა მატისმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ფოვიზმის ისტორიაში, მის ჩასახვასა და სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვან სტილად ჩამოყალიბებაში. მასთან ფერი იმდენად დომინირებს ფორმაზე, რომ სწორედ ფერი შეიძლება ჩაითვალოს ნახატის ნამდვილ შინაარსად. ამაში მდგომარეობს ფოვიზმისა და მატისის შემოქმედების მთელი არსი.

1952 წელს მატისის სამშობლოში მისი მუზეუმი გაიხსნა.

მხატვრის მიმდევართაგან ვერავინ შეძლო მიეღნია სურათის ყველა ელემენტის ისეთივე კომპოზიციური და დეკორატიული თანხმობისათვის, როგორსაც მატისმა მიაღწია. იგი რჩება დეკორატიული ფერწერის უბადლო ოსტატად.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



გუაში, ფერადი ქაღალდი, მუყაო, უფერო ლაკი

განსაზღვრეთ

1. მატისმა სამყაროს ახალი ხედვა შემოგვთავაზა. დიდი ლეონარდო და ვინჩი ამტკიცებდა, რომ ფერწერის მთავარი სასწაული საგნის მოცულობის

გადმოცემა, მატისმა კი ყველაფერი სიბრტყეზე გადაიტანა. ვაშლი სფეროდან წრედ იქცა. მატისმა ფერწერას სიღრმე წაართვა. როგორ მიაღწია მხატვარმა სიბრტყითობას სურათზე „ლოკოკინა“, ისევე როგორც სხვა დანარჩენ სურათებზე? რომელი გამომსახველობითი ხერხებით წარმოაჩინა მან ეს?



„ლოკოკინა“. ტეიტის გალერეა, ლონდონი. 1953

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ა) სხვადასხვა ნიმუშების ნახვის შემდეგ, გააფორმეთ ნივთი დეკუპაჟის ტექნიკით.

ოსტატის რჩევები

დეკუპაჟის ტექნიკა საკმაოდ მარტივია:

- | | |
|--|---|
| 1 – ნივთის წინასწარ მომზადება; | 3 – ნივთზე ორნამენტების დაწებება; |
| 2 – ორნამენტებიანი ხელსახოცის ან ქსოვილის შერჩევა; | 4 – ნაკეთობის გაშრობა და ზედაპირის ლაკით დაფარვა. |



1 2 3 4



ბ) დახატეთ ნათელი კოლორიტის სურათი, გამოიყენეთ სუფთა კონტრასტული ფერები.


3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ანრი მატისის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა თავისებურებებით ხასიათდება ფოვიზმი? რით განსხვავდება ფოვიზმი იმპრესიონიზმისაგან?
- ✓ რა გავლენა მოახდინა მატისის შემოქმედებამ ხელოვნების განვითარებაზე?

ბანაჟოგადეხელი ღვალებები


შეამონმეთ თქვენი თავი



ფრანსისკო გოია



ჟაკ ლუი დავიდი



ჟან ოგიუსტ ლომინიკ ენგრი



ეჟენ დელაკრუა



ოსკარ კლოდ მონე



ედუარდ მანე



„კარლოს IV-ის ოჯახი“. 1800–1801



„ჰორაციუსების ფიცი“. 1784



„ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება“. 1840



„რომულუსი – აკრონის დამარცხებელი“. 1812



„ხიდი არჟანტოიში“. 1874



„ნატურმორტი ორაგულით“. 1869

1. გაიხსენეთ მხატვრების შემოქმედება და განსაზღვრეთ, ვის ეკუთვნის მოცემული ნამუშევრები.



პიერ ოგიუსტ რენუარი



ოგიუსტ როდენი



ვინსენტ ვან გოგი



ანრი მატისი



პოლ გოგენი



„ლოჯა“. 1874



„ოთხი მოჭრილი მზესუმზირა“. 1887



„კალეს მოქალაქენი“. 1884–1888



„ჰარმონია წითელ ტონებში“. 1908



„არეარეა. ანცი ხუმრობა. სიხარული“. 1892

2. რომელ მიმდინარეობებს განეკუთვნება ამ მხატვართა ნამუშევრები?
3. დაასახელეთ სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები, რომლებსაც ეს მხატვრები მიმართავდნენ.

განმაჯობადეველი დავალებები

1. განსაზღვრეთ ნატურმორტებში ერთმანეთის მიმართ კონტრასტული ფერები.



2. რა შთაბეჭდილებას ქმნის ფურცლის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმატი?
3. როგორი კომპოზიცია იქნა გათვალისწინებული ამ ნახატების შექმნისას?
4. გამოარჩიეთ დეკუპაჟის ტექნიკით შესრულებული სურათები.



3



აზერბაიჯანელი მხატვრები



დიალოგი ხელოვნებაზე

რა არის საერთო ამ სხვადასხვა ეპოქის ქმნილებებში?



1



2

1. ედვარ დეგა. „ცისფერი მოცეკვავეები“. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი. 1897

2. ბეიუქალა მირზაზადე. „მოცეკვავეები“. აზერბაიჯანის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. 1973

გაიხსენეთ

რა თავისებურებები ახასიათებს იმპრესიონიზმს?

გაეცანით

XX საუკუნის ცნობილი მხატვარი, რომელმაც აზერბაიჯანის ფერწერის ეროვნულ სკოლაში ევროპული სული შეიტანა და ამით გაამდიდრა იგი, ბეიუქალა მირზაზადეა.

ფუნჯის ნიჭიერი ოსტატი ბეიუქალა მირზაზადე, ვინც კლასიკური ტრადიციები თანამედროვე ფერწერასთან გააერთიანა, ოსტატურად უთანხმებდა ევროპულ ფერწერას აზერბაიჯანულ სახვით ხელოვნებას.

კომპოზიციის სიცხადე, შუქ-ჩრდილის ფაქიზი გადანყვეტა, კოლორიტის სიმდიდრე, უსაზღვრო ინტერესი პლენერისა და იმპრესიონიზმის ტრადიციებისადმი მხატვრის შემოქმედების დამახასიათებელი თვისებებია.

ბეიუქალა მირზაზადეს მაღალი პროფესიონალიზმითა და განუმეორებელი ეროვნული კოლორიტით გამორჩეულმა ნატურმორტებმა დიდი როლი შეასრულა თაობათა ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში.

აბშერონის მიწის, კასპიის ზღვის, ქალწულის კოშკის, ბაქოსა და მიმდებარე სოფლების ამსახველი მისი ქმნილებები ყურადღებას იპყრობს კომპოზიციისა და კოლორიტის თავისებურებით. მხატვრის ფერებმა გააცოცხლა მისი შთაგონების წყაროდ ქცეული სამშობლოს წარმტაცი კუთხეების ბუნება.

სახვითი ხელოვნების გალერეა



„ნავთობის სარეზუ“. 1946




„სალამოს ნატურმორტი“. 1984



„ლატიფ ქერიმოვი“. 1977

აზერბაიჯანის მინა-წყლის სილამაზე და ბუნების სიმდიდრე, მისი გმირი შვილების ვაჟკაცობა იქცა მხატვრის შემოქმედების მთავარ თემად. მირზაზადეს მიერ ასახული სამშობლოს ისტორიული ძეგლები ეროვნული სიამაყითა და მომავლის რწმენით აღავსებს ადამიანს.

დიდი შემოქმედავი	
	ბეიუქლა მეზადი ოლღუ მირზაზადე ცხოვრების ქრონოლოგია
ცხოვრების წლები	1921–2007
დაბადების ადგილი	აბშერონი, სოფელი ფატმაი, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტი, აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
წოდებები და ჯილდოები	სახალხო მხატვარი (1967), ორდენი „შოჰრათი“ (1998)
სტილი და ტექნიკა	ფერწერა, გრაფიკა, სასცენო გაფორმება
ქმნილებების თემები	სიუჟეტური ქმნილებები, პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, თეატრალური დეკორაცია
ცნობილი ქმნილებები	„შვიდი ხომალდის კუნძული“ (1953), „გოქჩაი“ (1960), „გალა“ (1963), „აშუღ ალესკერის პორტრეტი“ (1972), „შამსი ბადალბეილის პორტრეტი“ (1975), „ყვითელი ყვავილები“ (2002) და სხვ. სპექტაკლების მხატვრული გაფორმება: „ჩემი ბრალია“ (1967, ი. ეფენდიევი), „ბაიადერა“ (1973, ი. კალმანი)

მირზაზადეს პორტრეტული ჟანრის ქმნილებებში ასახულია ისტორიული პიროვნებების, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლების, უბრალო ადამიანების შინაგანი სამყარო, ხასიათი და სულიერი სიმდიდრე.

როგორც თეატრის მხატვარმა, ბ. მირზაზადემ ბევრი სპექტაკლი გააფორმა. ცნობილი მხატვარი ოცზე მეტი სპექტაკლის დიზაინერი იყო აზერბაიჯანის ბევრ თეატრში და ოსტატურად იყენებდა სხვადასხვა ხელოვნების სინთეზს. მის დეკორაციებს დიდად აფასებენ სპეციალისტები.

დაფიქრდით და ახსენით

რა შეიძლება, ითქვას შუქ-ჩრდილია და ფერთა კოლორიტის შესახებ ბ. მირზაზადეს ნამუშევრებში?



„მილიონერის ლატაკი ვაჭი“. მუსიკალური კომედიის დეკორაციის ესკიზები. 1966

1940 წლიდან მოყოლებული მხატვარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამამულო და საერთაშორისო გამოფენებში. მისმა ნამუშევრებმა მხატვრის სახელი აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების ისტორიის ნაწილად აქცია.

დავალეები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



აკვარელი ან გუაში, პასტელის ცარცები

განსაზღვრეთ

1. როგორია კოლორიტი ბ. მირზაზადეს ნამუშევრებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ სახვითი ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის სურათი. ეს შეიძლება იყოს ქალაქის პანორამა, ყვავილებიანი ნატურმორტი, ცნობილი ადამიანის პორტრეტი, მშობლიური მხარის ბუნების სილამაზე ან ისტორიული ძეგლი.

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ ინფორმაცია ბ. მირზაზადეს შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა არის ბეიუქალა მირზაზადეს შემოქმედების ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებები?

დიალოგი ხელოვნებაზე

რა არის მონუმენტური და დაზგური ფერწერის განმასხვავებელი თავისებურებები?

გაიხსენეთ

რა სახის ქანდაკებას განეკუთვნება მსხვილფიგურიანი კომპოზიციები, მხედართა ქანდაკებები, მემორიალური ანსამბლები, რელიეფი, გამოჩენილ ადამიანთა ძეგლები? რომელი სკულპტურები განეკუთვნება დაზგურ ქანდაკებას?

გაეცანით

ქანდაკების ეროვნული სკოლის ფუძემდებელი და მისი პირველი წარმომადგენელი არის გამოჩენილი მოქანდაკე, აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი ფუად აბდურახმანოვი. სახეთა შექმნის გამომსახველობა და სიზუსტე, კომპოზიციის წარმატებითა და სრულად გადაწყვეტა, ესთეტიკურობა, პლასტიკის სისავსე და სახეთა შინაგანი, სულიერი სამყაროს გადმოცემის უნარი ოსტატის შემოქმედების დამახასიათებელი თვისებებია. შემოქმედმა დაზგური და მონუმენტური ქანდაკების უამრავი ნიმუში შექმნა.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ფ. აბდურახმანოვის მიერ შექმნილი მონუმენტური ქანდაკების ძეგლები



„პოეტი ნიზამი განჯევი“
(ბრინჯაო, გრანიტი;
არქიტექტორი ს. დადაშევი და
მ. უსეინოვი). ბაქო. 1947–1948



„გენერალი აზი ასლანოვი“
(გრანიტი; არქიტექტორი ლ.
გონსიოროვსკი). 1948



„განთავისუფლებული
ქალი“ (ბრინჯაო,
გრანიტი; არქიტექტორი
მ. უსეინოვი). 1960

ფ. აბდურახმანოვის დაზგური ქანდაკების ნიმუშები




„მსროლელი“
(ტონირებული
თაბაშირი). 1934



„დრამატურგ ჯაფარ
ჯაბრალის პორტრეტი“
(თაბაშირი), 1944



„მ. მამედიაროვის პორ-
ტრეტი“ (ტონირებული
თაბაშირი). 1949



„ავტოპორტრეტი“
(ტონირებული
თაბაშირი). 1969

დიდი შემოქმედები



ფუად ჰასან ოღლუ აბდურახმანოვი

ცხოვრების ქრონოლოგია

ცხოვრების წლები	1915–1971
დაბადების ადგილი	შექი, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის სამხატვრო სასწავლებელი (1929–1932), სანკტ-პეტერბურგის ი. ე. რეპინის სახელობის ფერწე- რის, ქანდაკებისა და არქიტექტურის ინსტიტუტი (1935–1939)
წოდებები და ჯილდოები	ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1943), სსრკ-ს ხელოვნების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1949), სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1947, 1951), აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი (1956)
სტილი და ტექნიკა	ქანდაკება; რელიეფი, მონუმენტალიზმი, დაზგური ფერწერა
ქმნილებების თემები	პორტრეტი
ცნობილი ქმნილებები	„ს. ბაჰლულზადე“ (1947), „რ. მუსტაფაევი“ (1947), „ს. ვურგუნი“ (1957), „ყმანვილი აშული“ (1939), „საბჭოთა კავშირის გმირის – მ. ჰუსეინზადეს პორტრეტი“ (ბრინ- ჯაო, გრანიტი, 1973, არქიტექტორი მ. უსეინოვი), „შეყვარებული“ (1937), „ჩობანი“ (1951) და სხვ.

დაფიქრდით და ახსენით

ქანდაკების რომელ სახეს (მრგვალი ან რელიეფური) და დარგს (მონუ-
მენტური, მონუმენტურ-დეკორატიული ან დაზგური) განეკუთვნება ფ. ა.
აბდურახმანოვის ქმნილებები?

თავისი შემოქმედება ფ. შ. აბდურახმანოვმა პორტრეტის ჟანრით დაიწყო. 30-იან წლებში მან შექმნა ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ბიუსტები. მოქანდაკის პირველი მონუმენტური ნამუშევარი – დიდი პოეტის ფიზულის ქანდაკება (1939) – ნიზამის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის ლოჯიაზე იყო აღმართული.

ფ. აბდურახმანოვის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი სახალხო გმირების – ქოროღლის, ბაბექისა და ჯავანშირის – ბარელიეფები ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტების წინაშე მოქანდაკის უკიდევანო ქედმოხრის გამოხატულებაა.



„ქოროღლი“ (ბარელიეფი, თაბაშირი). 1943



„ბაბეკი“ (ბარელიეფი, თაბაშირი). 1943



„ჯავანშირი“ (ბარელიეფი, თაბაშირი). 1943

აზერბაიჯანის სახალხო მხატვარმა, გამოჩენილმა მოქანდაკემ ფუად აბდურახმანოვმა თავისი მასშტაბური შემოქმედებითი საქმიანობითა და მაღალი პროფესიონალიზმით გაამდიდრა აზერბაიჯანული ქანდაკება ფასდაუდებელი ძეგლებით და სახელი გაუთქვა მას ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



პლასტილინი ან თიხა

განსაზღვრეთ

1. რა განსხვავებაა ცნებებს შორის „ქანდაკება“, „ბარელიეფი“, „ძეგლი“, „მონუმენტური“, „დაზგური“?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. შექმენით სახალხო გმირის, ჯარისკაცის, პოეტის ან ნებისმიერი ცნობილი პიროვნების რელიეფი.
3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ფუად აბდურახმანოვის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ როგორია ფ. აბდურახმანოვის მიერ შექმნილი პორტრეტების ინდივიდუალური თვისებები, ხასიათის თავისებურებები?

21. ტოკაი მამედოვი: ზორა, მასალა და სივრცე მონუმენტურ ქანდაკებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

რა თავისებურებებია ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მონუმენტური და დაზგური ქანდაკებისათვის?

გაიხსენეთ

რა მასალისაგან იქმნება ქანდაკებები? რამ შეიძლება განაპირობოს მასალისა და სივრცის – ქანდაკების დასადგმელი ადგილის – შერჩევა ქანდაკებაში?

გაეცანით

აზერბაიჯანული ქანდაკების ცნობილ წარმომადგენელთა შორის ტოკაი მამედოვს გასაკუთრებული ადგილი და თავისებური სტილი გამოარჩევს. ქალაქმშენებლობის განვითარებასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის ბევრი ქალაქის პარკებში, მოედნებზე იდგმებოდა კულტურისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა მონუმენტური ქანდაკებები. ამ პერიოდში შექმნილი მონუმენტური ქანდაკებები დიდებულია, მათ აქვთ გამომსახველობითი პლასტიკური ფორმა და გამოირჩევიან საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაარსით. მსგავს ძეგლებს შორის – ბაქოს ქუჩებსა და აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონებში – ტ. მამედოვის მიერ შექმნილი ძეგლებიცაა. მოქანდაკის შემოქმედება მდიდარია მრავალრიცხოვანი მონუმენტური ქმნილებებით.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ტოკაი მამედოვის მონუმენტური ქანდაკება




„უზეირ ჰაჯიბეკოვი“ (ბრინჯაო, გრანიტი; არქიტექტორი გ. მუხტაროვი). 1960




„ფიზული“ (ო. ელდაროვთან ერთად; ბრინჯაო, გრანიტი; არქიტექტორი გ. მუხტაროვი). 1962



„ნასიმი“ (ი. ზეინალოვთან ერთად; ბრინჯაო, გრანიტი). 1979

დიდი შემოქმედავი	
	<p>ტოკაი ჰაჩიკ ოლლუ მამედოვი</p> <p><i>ცხოვრების ქრონოლოგია</i></p>
ცხოვრების წლები	1927
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) ი. ე. რეპინის სახელობის სამხატვრო აკადემია
წოდებები და ჯილდოები	სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1978), აზერბაიჯანის სახელმწიფო პრემია (1982), „დიდების“, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენები, აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო მხატვარი, პროფესორი
სტილი და ტექნიკა	რელიეფი, მონუმენტალიზმი, დაზგური ქანდაკება
ქმნილებების თემები	პორტრეტი, სიუჟეტური ნამუშევრები
ცნობილი ქმნილებები	„მირ მოჰსუნ ნავაბი“ (1956), „ფარჰადი“ (1959), „ნარიმან ნარიმანოვი“ (1961), „ნასრედინ თუსი“ (1970), „შოვქეთ მამედოვი“ (1983) და სხვ.

მოქანდაკის ნიჭის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია მასალის გრძნობა, მასში იდეისა და თემის დანახვა ან, პირიქით, განსაზღვრულ მასალაში შესაბამისი თემის გაცოცხლება. ტოკაი მამედოვის მიერ შექმნილი პორტრეტების გალერეაში ბევრი მარმარილოს, ბრინჯაოსა და თაბაშირის ნამუშევარია, რომლებშიც ავტორმა შეძლო, გარეგნულ იერთან ერთად, შინაგანი ფსიქოლოგიური თვისებების ჩვენება.



„მირზა ფამალი ახუნდოვი“ (თაბაშირი) 1962



„ვაჯია სამედოვა“ (მარმარილო) 1966

თავის ქანდაკებებში ტოკაი მამედოვი ოსტატურად იყენებდა ხეს. მერქნის ყველა სახეობის, მათი თვისებების დეტალურად შესწავლის შემდეგ მან ამ მასალაში გააცოცხლა ბევრი ცნობილი ადამიანის სახე. მის მიერ შექმნილ პორტრეტებში ყურადღებას იპყრობს ამალღებული სულიერი თვისებები, რომელთა გადმოცემაც მოქანდაკემ განსაკუთრებული სიცხადით შეძლო.



„სახალხო მხატვარი
ჰაზანფარ ჰალიგოვი“
(ხე). 1957

„სამედ ვურგუნი“ (ხე).
1957

მოქანდაკის ინტერესის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენდა **რელიეფი. ამოზრცული ტექნიკა**. შემოქმედების პირველი ნლებიდან მოყოლებული, მან ბევრი რელიეფური ქანდაკება შექმნა. მოქანდაკე გამუდმებით გადადიოდა ერთი მასალიდან მეორეზე: კვებდა ქვასა და მარმარილოს, ძერწავდა თიხისაგან, მერე კი კვლავ ხესა და ქვას უბრუნდებოდა. ტ. მამედოვი მუდამ მასალის ძიებაში იყო, რომლის მეშვეობითაც მის წარმოსახვაში შექმნილი სახეების ხორცშესხმას შეძლებდა.

დაფიქრდით და ახსენით

რა როლი აქვს მასალას ქანდაკებაში?

ტოკაი მამედოვის ქმნილებებს ჩვენი ქალაქის პარკებში და მოედნებზე ყოველდღიურად ათასობით ადამიანი უმზერს. მის მიერ აღმართული ქანდაკებები ფასდაუდებელი საჩუქარია, რომელიც მოქანდაკემ მომავალ თაობებს დაუტოვა.

დავალბები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



პლასტილინი ან თიხა

განსაზღვრეთ

1. ჩამოთვალეთ ქანდაკების შექმნისას მასალასთან მუშაობის ტექნიკები.

შემოქმედებითი საქმიანობა

2. შექმენით მრგვალი ქანდაკების ნიმუში.
3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ტოკაი მამედოვის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა ახასიათებს ტოკაი მამედოვის შემოქმედებას?

22.

სადიყ დადაშევი: ეროვნული და თანამედროვე ელემენტები აზერბაიჯანის ხუროთმოძღვრებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ცვლილებები მოხდა აზერბაიჯანის თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში წარსულ ეპოქებთან შედარებით?

გაიხსენეთ

აზერბაიჯანის რომელ არქიტექტურულ სკოლებს იცნობთ?

გაეცანით

არქიტექტურის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ვინც შემოქმედებითად განავითარა აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების პროგრესული ტრადიციები, ააგო ბევრი საცხოვრებელი და საზოგადო შენობა ბაქოსა და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებში, არის სადიყ დადაშევი. იგი აზერბაიჯანული საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მისი მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული ცნობილი არქიტექტორის მიქაელ უსეინოვის შემოქმედებასთან. იგი პირველი აზერბაიჯანელი არქიტექტორი იყო, ვინც უმაღლესი არქიტექტურული განათლება მიიღო.

არქიტექტურული გალერეა

არქიტექტორების ს. დადაშევისა და მ. უსეინოვის ერთობლივი პროექტები



ნიზამი განჯევის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის მუზეუმი. 1940




კინოთეატრი „ნიზამი“. 1934



აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შენობა. 1938–1941

დაფიქრდით და ახსენით

რა არის საერთო ს. დადაშევისა და მ. უსეინოვის მიერ დაპროექტებულ შენობებს შორის?

დიდი შამოქმეაზი	
	<p>სადიყ ალექპერ ოღლუ დადაშევი</p> <p><i>ცხოვრების ქრონოლოგია</i></p>
ცხოვრების წლები	1905–1946
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის სსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1940), სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1941), ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი
სტილი და ტექნიკა	ხუროთმოძღვრება
ძირითადი პროექტები <i>შესრულებული მ. უსეინოვთან ერთად</i>	ფაბრიკა-სამზარეულო, „წყალკანალის“ საცხოვრებელი სახლები, „პორტოვიკი“, „ეპრონი“, „პლანოვიკი“, ბაქოს საბჭოს საცხოვრებელი სახლი (1938, ამჟამად – რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო), სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი, აზერბაიჯანის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი (1937–1939), ჰიდრომეტეოსამსახურის სამმართველო (1938), აზერბაიჯანის სსრ-ის პავილიონი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე (1939), „ბუზოვნანეფტისა“ და „აზნეფტეზავოდის“ ტრესტების საცხოვრებელი სახლები, მეცნიერთა საცხოვრებელი სახლი და სხვ.

1924 წლიდან მოყოლებული, ოთხი წლის განმავლობაში ს. დადაშევმა და მ. უსეინოვმა აწარმოეს არქიტექტურულ-გაზომვითი და სარესტავრაციო სამუშაოები შირვანშაჰების სასახლეთა კომპლექსში – დივანხანაში – სასამართლოს შენობაში, ტიურბეში – მავზოლეუმში და, ნაწილობრივ, სასახლის მეჩეთში. შემოქმედებითი საქმიანობის პირველ ეტაპებზე, თავიათი ქმნილებების გამორჩეული ესთეტიკისა და გამომსახველობის ძიებისას, არქიტექტორები აპროექტებენ საცხოვრებელ და საზოგადო შენობებს კლასიკური ევროპული და ძველბერძნული არქიტექტურის პრინციპების გამოყენებით. XX საუკუნის 40-იან წლებში ისინი მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს აშენებენ, რომლებსაც ანალოგი არ გააჩნიათ ქვეყანაში და რომლებიც, შემდგომში, ეროვნულ არქიტექტურულ არეალში შევიდნენ.

ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების მიუხედავად, სადიყ დადაშევმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა XX საუკუნის აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრება და განუმეორებელი წვლილი შეიტანა არქიტექტურის ისტორიაში.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, ფერადი კალმები

განსაზღვრეთ

1. როგორ მოქმედებს ფორმა და კონსტრუქცია შენობის გარეგნულ იერზე?



ფაბრიკა-სამშარეული



ბორჯოკომბინატი

შემოქმედებითი საქმიანობა

- დახატეთ თანამედროვე სკოლის, საცხოვრებელი სახლის ან კინოთეატრის ესკიზები. მოიფიქრეთ შენობის უჩვეულო ფორმა, გაითვალისწინეთ, რა მიზნით პროექტირდება იგი.
- მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია სადიყ დადაშევის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

✓ რა განასხვავებს საზოგადო და საცხოვრებელ შენობებს?

23.

თორღულ ნარიმანბეკოვი: მონუმენტური ფერწერა

დიალოგი ხელოვნებაზე

რომელი ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვრის შემოქმედებაში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ბრონეულის ნაყოფის გამოსახვას კომპოზიციაში?

გაიხსენეთ

რას უნოდებენ არქიტექტურაში ფერწერის სახეს, რომელიც კედლებს, იატაკებსა და ფილებს ამშვენებს?

გაეცანით

თორღულ ნარიმანბეკოვი – ფერმწერი, მონუმენტალისტი და თეატრის მხატვარი – ეროვნული ფერწერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია. მის ქმნილებებს, რომლებიც ეროვნული ხელოვნების განვითარებაში შეტანილ ფასდაუდებელ წვლილს წარმოადგენს, იცნობენ და ეტრფიან არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მხატვრის განუმეორებელი სტილით გამოირჩეულმა შემოქმედებამ შეითვისა აზერბაიჯანული ხელოვნების მდიდარი ტრადიციები და სახელი გაითქვა, როგორც სამშობლოში, ისე მთელ მსოფლიოში.

სახვითი ხელოვნების გაღერვა

თ. ნარიმანბეკოვის მონუმენტური ფერწერა




პანო, რომელიც აზერბაიჯანის მილი მეჯლისის შენობის ინტერიერს ამშვენებს

თორღულ ნარიმანბეკოვის ნამუშევართაგან ბევრი შექმნილია აღმოსავლური ლეგენდებისა და ზღაპრების მოტივებზე, რომლებსაც, როგორც ნესი, ბედნიერი დასასრული აქვთ. მონუმენტური ქმნილების „ზღაპრების სამყაროში“ ნყალობით, რომელიც აზერბაიჯანის თოჯინების სახელმწიფო თეატრის ფოიეს ამშვენებს, ნორჩი მაყურებლები უმაღლ აღმოსავლური ზღაპრების საოცარ და იდუმალ სამყაროში ხვდებიან.

ფერწერის კედელზე დატანის სურვილი მხატვარმა იმით ახსნა, რომ ტილო მისი ფანტაზიისათვის ძალზე პატარა იყო. შემდგომშიც, როცა კი კედლის მხატვრობას მიმართავდა, იგი უნიკალურ ნამუშევრებს ქმნიდა.

მხატვარი ამგვარ ფერწერას უფრო საპასუხისმგებლოდ მიიჩნევდა და ამბობდა: „ტილოზე შესრულებული ნამუშევრები ისეთია, რომ თუკი რამე არ მოგეწონება, მარტივად შეცვლი. თუ საერთოდ არ მოგწონს – გადა-მალავ, დანვაგ. კედელზე შესრულებულ ნამუშევარს კი ვერ შეცვლი, ვერ ჩაასწორებ და ვერ გაანადგურებ. ის მუდამ ისეთი დარჩება, როგორც არის – ყველა ნაკლითა და დეფექტით“.

თორღულ ნარიმანბეკოვი ასევე ცნობილია, როგორც ბევრი თეატრალური დადგმის დეკორაციისა და სახალხო თუ სახელმწიფო ზეიმის გაფორმების ავტორი.



ესკიზები ფ. ამიროვის ბალეტისათვის „1001 ლამე“


დაფიქრდით და ახსენით

თორღულ ნარიმანბეკოვის რომელ ქმნილებას გაეცანით უმცროს კლასებში? ისაუბრეთ ჟანრებზე, რომლებშიც ისინია შექმნილი.

მხატვარს აღაფრთოვანებდა აღმოსავლური მინიატურის მომაჯადოებელი ფერადოვნება, დასავლური ბაროკოს სტილისათვის დამახასიათებელი ფუფუნება, არქიტექტურული გოტიკის სიმკაცრე, დელაკრუას რომანტიკული სილამაზე, ჯოტოს ქმნილებათა გულწრფელობა, რემბრანდტის ტრაგიკულობა, სეზანის იდეათა გადმოცემის სიზუსტე. ვან გოგთან

კი, როგორც თავად თვლიდა, სულიერი სიახლოვე აკავშირებდა. თ. ნარიმანბეკოვი თავის შემოქმედებას ახასიათებდა, როგორც აბსტრაქტული და ფიგურული ხელოვნების სინთეზს.

მხატვრის ყველა ქმნილება ასახავს აზერბაიჯანელი ხალხის ხასიათის, ადათებისა და ტრადიციების ეროვნულ თავისებურებებს. მის ტილოებზე შეიძლება იხილოთ იჩერი-შეჰერის ძველი, ვიწრო და იდუმალი ქუჩები, აბშერონის ციხესიმაგრეებისა და სასახლეების დახვეწილობა, კასპიის ზღვის მაღალი ტალღები, აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონისა და ქალაქის ულამაზესი პეიზაჟები. ბრონეული – პატარა, მუშტისხელა ნაყოფი – სამშობლოს სიმბოლოდაა ქცეული.

დიდი შემოქმედები	
	თორღულ ფარმან ოღლუ ნარიმანბეკოვი ცხოვრების ქრონოლოგია
ცხოვრების წლები	1930–2013
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელი (1945), ლიტვის ხელოვნების ინსტიტუტი (1950)
წოდებები და ჯილდოები	„ისთილალის“ (2000), „შარაფის“ (2010) ორდენები, სსრკ-სა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიები, სსრკ-სა და აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი
სტილი და ტექნიკა	ფერმწერი, მონუმენტალისტი და თეატრის მხატვარი
ქმნილებების თემები	ნატურმორტი, პორტრეტი, სცენის გაფორმება
ცნობილი ქმნილებები	„ქალწულის კოშკი“ (1966), „მულამი“ (1966), „ჩაიხანა ბაღში“ (1974), „შექის ბაზარი“ (1976), „ძველი ბაქო“ (1980), „დღესასწაული“ (1982), „პარიზული მოგონებები“ (1988), „ცხვარი და ბიჭი“ (1991), „აზერბაიჯანის მომღერლები“ (1996), „დილა ჩაიხანაში“ (2000), „იჩერი-შეჰერის ქუჩა“ (2003) და სხვ.

ეს საინტერესოა

- თორღულ ნარიმანბეკოვი არა მხოლოდ მხატვარი, არამედ საოპერო მომღერალიც იყო. იგი, მშვენიერი ბარიტონით, პროფესიონალურად ასრულებდა კლასიკური ოპერის არიებს, განსაკუთრებით – იტალიელი კომპოზიტორებისას.

- თორღულ ნარიმანბეკოვი ერთადერთი აზერბაიჯანელია, რომლის შესახებაც მოიპოვება ინფორმაცია თანამედროვე ფრანგული ხელოვნების ენციკლოპედიაში.

მხატვრის პერსონალური გამოფენები იმართებოდა ჩეხეთში, რუსეთში, ინდოეთში, საფრანგეთში, ლიტვასა და აშშ-ში. მისი ნამუშევრები მსოფლიოს ბევრ მუზეუმსა და კერძო კოლექციაში ინახება. თორღულ ნარიმანბეკოვის გამორჩეულმა ნიჭმა ნარუშლელი კვალი დატოვა სამამულო ხელოვნებაში.

დავლებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



გუაში ან აკვარელი, ვატმანი

განსაზღვრეთ

1. როგორი კოლორიტია დამახასიათებელი თ. ნარიმანბეკოვის მონუმენტური ქმნილებებისათვის?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. თანაკლასელებთან ერთად, შექმენით კოლექტიური პანო „აზერბაიჯანი – ჩემი მხარე!“. ამისათვის ჯერ კომპოზიცია მოიფიქრეთ და დახატეთ შესაბამისი ესკიზი. შემდეგ გაინაწილეთ ერთმანეთში დასახვატი ელემენტები. მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე შეასრულებს სამუშაოს, დააკარით ნაწილები ვატმანის ქაღალდს, ისე, როგორც თავიდან გქონდათ ჩაფიქრებული. პანოს ჩარჩო თემის შესაბამისი დეკორატიული ელემენტებითა და ორნამენტებით მორთეთ.
3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია თ. ნარიმანბეკოვის შემოქმედებაზე.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა ტექნიკები არსებობს მონუმენტურ ფერწერაში?
- ✓ დაასახელეთ თორღულ ნარიმანბეკოვისა და ბეიუქალა მირზაზადეს შემოქმედების საერთო ნიშნები.

დიალოგი ხელოვნებაზე

სად იყენებენ აქ გამოსახულ ინსტრუმენტებს? რა იცით მათ შესახებ?



გაიხსენეთ

რა ენოდება ხალიჩებს, რომლებზეც ადამიანები და მათი ყოფაა გამოსახული?

გაეცანით

აზერბაიჯანულ ხალიჩებში ასახულია ჩვენი ხალხის წარსული და აწმყო. მეხალიჩეობა ხელოვნებაა, რომელმაც ხალხის კულტურა და ადათები შეიტვისა.

ძველად ოსტატები ხალიჩებს იმის საფუძველზე ქსოვდნენ, რასაც ბუნებასა და ყოველდღიურ ყოფაში ხედავდნენ და თითქმის არ იყენებდნენ ნახჭების მზა ნიმუშებს. თანამედროვე მეხალიჩეები ხალიჩებში თავიანთ ფანტაზიებსა და ოცნებებს აქსოვენ, ამდიდრებენ უძველეს ხელოვნებას ახალი ნახჭებით, ფორმებითა და შინაარსით. ელდარ მიქაილზადე სწორედ ასეთი მხატვარი-მეხალიჩეა. ოსტატი ტრადიციებს რუდუნებით უფრთხილდება და, ამასთანავე, თავის ქმნილებებს ფილოსოფიური შინაარსებით ტვირთავს.

ე. მიქაილზადე ნახატსა და ფერწერას დიდი აზერბაიჯანელი მხატვრის სათარ ბაჰლულზადეს ხელმძღვანელობით სწავლობდა, მეხალიჩეობას კი – სახელგანთქმულ ოსტატ ლატიფ ქერიმოვთან. მხატვარი იშვიათად ქმნიდა პორტრეტულ ხალიჩებს, იგი უპირატესობას სიუჟეტურ და ორნამენტულ ხალიჩებს ანიჭებდა. ხალიჩის კონკრეტულ იდეას, თემასა და ფილოსოფიას, მისი აზრით, ხალიჩის ყველა დეტალი გამოხატავს – ზომა, ნახჭები, შეფერილობა. ელდარ მიქაილზადეს ნამუშევრებში ევროპული კულტურის გავლენა იგრძნობა.

ეს საინტერესოა

ელდარ მიქაილზადე არაერთხელ უბრუნებოდა ფიზულის ყაზალ „შაბი-ჰიჯრანის“ თემას. დიდი პოეტის სახე მხატვარმა სამი ხის ერთმანეთში ჩანვნიტ შექმნა, პოეტის შემოქმედება კი მან გამოსახა, როგორც აყვავებული, მწვანე, მსხმოიარე ხე და გააერთიანა პოეტი და მისი ქმნილებები. იქვე, ღრუბლების ოსტატურად ჩახლართვით, მან ფიზულის ყაზალი დაწერა. ელდარ მიქაილზადემ ხალიჩის შექმნის

ფილოსოფიური იდეა განახორციელა – მისი ქსოვიდან – დასრულების პროცესამდე. მისი ნახატების საფუძველზე, რომლებიც ხალიჩის შექმნის მთელ პროცესს ასახავს – მდელოზე ცხვრების მწყემსვიდან დანცეხული მათი ბაზარზე გაყიდვით დამთავრებული – მოიქსოვა ხალიჩა „შექმნა“. მის კომპოზიციაში ჩართულია ცნობილი ხალიჩების – „შეხ საფის“, „პაზირიკის“, „პირებედლის“, „ღვინის“, „ჰილია-ბუტას“, „ჩიჩის“ – და ყარაბაღული ხურჯინების გამოსახულებები.

ოსტატის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი – ხალიჩა „ირმის ნახტომი“ სამყაროს შექმნის, ადამიანის მიერ ციური სხეულებისა და კოსმოსის შესწავლისადმია მიძღვნილი.

სახვითი ხელოვნების გალერეა

ელდარ მიქაილზადეს ფილოსოფია და ხალიჩების სიუჟეტები



„შაბი-ჰიჯრან-1“. 1981




„შექმნა“. 2010

დაფიქრდით და ახსენით

რა ეტაპებს მოიცავს ხალიჩის შექმნის პროცესი?

ელდარ მიქაილზადე არც ერთ თავის ნამუშევარს ხელს არ აწერს. იგი თვლის, რომ აუცილებელი არაა იცოდე, ვის ეკუთვნის ნამუშევარი, მთავარია, მასში აზერბაიჯანული სული იგრძნობოდეს. ამამია ხალხური შემოქმედების მთავარი იდეა.

მისი ხალიჩა „შექმნა“ ფრანკფურტის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ელდარ მიქაილზადეს ნამუშევრების უმეტესობა რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, თურქეთის, საუდის არაბეთისა და ქუვეითის კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში ინახება.

დიდი შემოქმედები	
	Эльдар Хидаят оглу Микаилзаде <i>ცხოვრების ქრონოლოგია</i>
ცხოვრების წლები	1956
დაბადების ადგილი	აზერბაიჯანი, ბაქო, ამირაჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ლენინგრადის სამხატვრო აკადემია
წოდებები და ჯილდოები	რუსეთის მხატვართა კავშირისა (2004) და იუნესკოსთან არსებული მხატვართა საერთაშორისო ასოციაციის წევრი.
სტილი და ტექნიკა	მხატვარი-მეხალიჩე; გრაფიკა, დიზაინი, ფერწერა
ქმნილებების თემები	ორნამენტული და სიუჟეტური ხალიჩები
ცნობილი ქმნილებები	„სათარის სამყარო“ (1979), „ზღაპრების სამყარო“ (1983), „ხატაი“ (1990), „ხამსა“ (1991), „ირმის ნახტომი“ (1994), „სათარი“ (1999), „მხსნელი“ (1995–1997) და სხვ.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, კალმები, ფლომასტერები, მილიმეტრია-ნი ქალაღლი

განსაზღვრეთ

1. კომპოზიციის როგორი გადაწყვეტა, ორნამენტების რა სახეები, კოლორიტი და შინაარსია შემოქმედის ნამუშევრებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატეთ მილიმეტრიან ქალაღდზე სიუჟეტური ხალიჩის ესკიზი. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ნაწარმოების, მოთხრობის, ზღაპრისადმი მიძღვნილი ხალიჩა, რომელიც თქვენს მიერ შერჩეული თემის შინაარსს გამოხატავს. წინასწარ განსაზღვრეთ ნახჭების სახეები და კოლორიტი, რომელსაც გამოიყენებთ.

3. მოიძიეთ და წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ელდარ მიქაილზადეს შემოქმედებაზე.

შეამონმეთ თქვენი თავი

- ✓ ვის იცნობთ აზერბაიჯანელ მხატვარ-მეხალიჩეთაგან?
- ✓ რა შეადგენს ელდარ მიქაილზადეს ხალიჩების სიუჟეტური ხაზის საფუძველს?

დიალოგი ხელოვნებაზე

როგორ გესმით სიტყვა „დიზაინი“? რა იცით დიზაინსა და მისი გამოყენების სფეროებზე?

გაიხსენეთ

რა არის დიზაინერის ფუნქციები?

გაეცანით

დიზაინი¹ მხატვრული კონსტრუირების თანამედროვე ხელოვნებაა. ადამიანი უამრავ ახალ ნივთს ქმნის, ეს ნივთები, ერთდროულად, პრაქტიკული და ლამაზი უნდა იყოს. ზოგჯერ ერთი ნივთის შექმნაზე მეცნიერები, ინჟინრები და დიზაინერები მუშაობენ. მხატვარ-დიზაინერისათვის აუცილებელია არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, კერამიკისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ცოდნა, მას უნდა შეეძლოს შემოქმედებითად აზროვნება.

ნივთების იერსახე, ფუნქცია, ფორმა, ესთეტიკური ღირებულება, ფერი, სილამაზე და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მორთულობა წინასწარ ზუსტად უნდა იყოს მოფიქრებული. არ შეიძლება ითქვას, რომ ორნამენტებისა და მორთულობების გარეშე ნივთი უმნოდ გამოიყურება, ის შეიძლება მოსახერხებელი იყოს ზომისა და პროპორციების წყალობით, მაგრამ დიზაინერი მას უარმონიასა და სისრულეს ანიჭებს. ბევრი თანამედროვე ნივთი ხალხური შემოქმედების ნიშნებს ატარებს და მხატვრების შთაგონების უმთავრეს წყაროდ კვლავაც ბუნება რჩება.



დაფიქრდით და ახსენით

ბუნების რომელ ხატებს ირეკლავენ თავის თავში ეს ნივთები?

¹ **დიზაინი** (ინგლისური სიტყვიდან design) – ამ ცნებას ორი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ ეს არის „საგანი“: პროექტი, ნახატი, ესკიზი, ჩანაფიქრი; მეორე მხრივ – „პროცესი“: პროექტირება, კონსტრუირება, მოფიქრება. ეს არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საგნობრივი სამყაროს პროექტირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დიზაინი XX ს-ის დასაწყისში წარმოიშვა.

დიზაინერი – ადამიანი, რომელიც მხატვრულ-ტექნიკური საქმიანობითაა დაკავებული სხვადასხვა სფეროში (მათ შორის არქიტექტორი, პროექტირების სპეციალისტი, ილუსტრატორი, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო გრაფიკის დიზაინერი, ვებ-დიზაინერი).

არსებობს დიზაინის სხვადასხვა სახე: სანარმოო (დაზგების, სატრანსპორტო საშუალებების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ქურჭლის, ავეჯის კონსტრუირება), ტანსაცმლის და სხვ. სანარმოო დიზაინზე საუბარი, როგორც წესი, ავტომობილიდან იწყება. ცოტამ თუ იცის, როგორ იქმნება ავტომობილის დიზაინი, რა გზას გადის ის პირველი ესკიზიდან მზა ნიმუშამდე. ყველაფერი ესკიზით იწყება: მხატვრის გონებაში გარკვეული ხატი იზადება, მაგრამ მისი აღწერა ძნელია, ამიტომ მხატვარს თავისი ფანტაზიებისა და წარმოდგენების ილუსტრირება უხდება. ავტომობილის ახალი მოდელის პროექტით, როგორც წესი, რამდენიმე დიზაინერია დაკავებული. საგულდაგულოდ შეირჩევა ფორმა, მასალა და ფერთა გამა. დიზაინერის ძირითადი ამოცანა და მიზანია, ავტომობილის პროექტი ყოველმხრივ სრულყოფილი გახადოს.

იცით თუ არა?

ტრანსპორტის შესახებ პირველი იდეები XV საუკუნეში მცხოვრებ ლეონარდო და ვინჩის და XVII საუკუნეში მცხოვრებ ისაკ ნიუტონს ეკუთვნით. პირველი ორთქლის ავტომობილი 1769 წელს გამოიგონა ნიკოლას ჯოზეფმა, ხოლო პირველი ბენზინზე მომუშავე მანქანები – 1886 წელს, გერმანელმა ინჟინრებმა გოტლიბ დაიმლერმა და კარლ ბენცმა.



პირველი ორთქლის ავტომობილი. ნიკოლას ჯოზეფი. 1769



ბენცის პირველი ავტომობილი. 1886

დიდი მოთხოვნილების გამო ავტომობილი მუდმივად იცვლება, იხვეწება, სწრაფად ვითარდება, მოდერნიზდება.



დაფიქრდით და ახსენით

რით განსხვავდება ავტომობილების გარეგნული იერი?

ტანსაცმლის დიზაინერიც მუდმივ ძიებაშია. იგი იგონებს ტანსაცმლის მოდელების ესკიზებს, დეტალებს, აქსესუარებს და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას უსადაგებს.


განსაზღვრეთ პროფესია ტანსაცმლის მიხედვით



ძველი ხალხური ხელოვნება – სპილენძის დამუშავება და შებეკე

სახვითი ხელოვნების სახელმძღვანელოებიდან თქვენ უკვე იცით ძველი ხელოვნების – სპილენძის დამუშავებისა და შებეკეს და მათი მნიშვნელობის შესახებ ეროვნულ კულტურაში. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ამ სახეობების შემდგომ განვითარებას შეგვიძლია მივაკუთვნოთ სანარმოო დიზაინი.

მიუხედავად იმისა, რომ მეტალის დამუშავებას აზერბაიჯანში დიდი ხნის ისტორია აქვს, სპილენძის დამუშავება მხოლოდ შუა საუკუნეებში (XVIII საუკუნე) ჩამოყალიბდა და გამდიდრდა ეროვნული ელემენტებით.



აზერბაიჯანის სპილენძის დამუშავების ხელოვნებაში თანამედროვე ეპოქაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა – გათანამედროვდა როგორც სპილენძის ნაკეთობათა ფორმა, ასევე მორთულობის მოტივები. თუმცაღა ამ უძველესი ხელოვნების მატარებლები, მის მუდმივ განვითარებასთან ერთად, სათუთად ინახავენ საუკუნოვან ტრადიციებს.




უძველესი დროიდან მოყოლებული, სპილენძის ნაკეთობათა ოსტატები ნამუშევრებზე თავიანთ ხელმონერებს ტვიფრავდნენ. ამის წყალობით მსოფლიოს მუზეუმებში დაცული ბევრი განუმეორებელი ნიმუში ზუსტად ადასტურებს, რომ ისინი სწორედ აზერბაიჯანელი ხალხის კულტურას ეკუთვნის.

დაფიქრდით და ახსენით

როგორ ფასდება დღეს სპილენძის დამუშავების ხელოვნება?

XVIII საუკუნეში, სახანოების ეპოქაში, ეს ხელოვნება განსაკუთრებით გავრცელდა შექში და სპილენძის ნივთები ბევრი ადამიანის, მათ შორის არისტოკრატის, სახლებში გამოიყენებოდა. სიტყვა „შებეკე“ ნიშნავს „ბადეს“ ან „ცხაურას“. ეს ხელოვნება მჭიდრო კავშირშია არქიტექტურასთან და, ძირითადად, მონუმენტური ხასიათისაა. შებეკე ერთ-ერთი რთული სახეობაა და მოითხოვს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების უნარებს, დახვეწილ გემოვნებასა და ტექნოლოგიის პრაქტიკულ ცოდნას. შებეკეს თავისებურება ისაა, რომ აქ არ გამოიყენება წებო და ლურსმნები – რთული ელემენტები ხისა და ფერადი მინის მეშვეობით იქმნება.



როგორც ნესი, შებეკეს ოსტატები უპირატესობას ანიჭებენ გეომეტრიულ და მცენარეულ ორნამენტებს, რადგანაც მათი სხვადასხვა კუთხით გამოყენება შეიძლება. „ჯეფერი“, „რვიანი“, „თექვსმეტი“, „გულაბი“, „შამსი“, „გელიუ“ და „ბანდი-რუმი“ – შებეკეს ტრადიციული კომპოზიციებია.


შებეკეს გამომსახველობითი ენა ახლოა ხალიჩის გეომეტრიულ ორნამენტებთან, ამასთანავე, შებეკე თავის თავში აერთიანებს ხელოვნების ბევრ სხვადასხვა სახეს.

ეს საინტერესოა

საუკუნეების განმავლობაში შებეკე სწორი დაფის ფორმით მზადდებოდა. ჩვენს დროში, დახელოვნებულმა ოსტატებმა ხელოვნების ამ სახეში ინოვაციები შეიტანეს და სხვადასხვა ფორმის, მათ შორის სფეროს ფორმის, შებეკეს ამზადებენ.



თოფკ რასულოვის შებეკეს თანამედროვე ხელოვნება



ჰუსეინ მუსტაფაზადეს ხელნაკეთი ნამუშევრები

დაფიქრდით და ახსენით

როგორ გესმით აზრი „ფუნქციიდან – ფორმისაკენ, ფორმიდან – ფუნქციისაკენ“? დაასახელეთ მაგალითები.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის



ფერადი ფანქრები, კალმები, ფლომასტერები

განსაზღვრეთ




1. ყველა ავტომობილს აქვს თავისი **სავაჭრო ნიშანი**¹. რა ინფორმაციას გვანვდიან ეს ნიშანი-სიმბოლოები ფორმის, ფერისა და სხვა მახასიათებლების შესახებ?



¹ **სავაჭრო ნიშანი** (ზოგჯერ ფირმის ნიშანს უწოდებენ) – სიმბოლური განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც საქონლის მწარმოებელ ფირმაზე მიუთითებს.

შემოქმედებითი საქმიანობა

- 2. ა)** ბუნების ფორმების გამოყენებით, დახატეთ ახალი ავტომობილის ან ტანსაცმლის მოდელის ესკიზი, სპილენძის ნაკეთობის ან შებეკეს ნიმუში. გაითვალისწინეთ მათი ფორმა, კომფორტულობა, ფუნქციონალურობა, ფერი და მიმზიდველი გარეგნული მხარე.
- ბ)** დაფიქრდით, როგორი სავაჭრო ნიშანი ექნება ავტომობილს, რომლის ესკიზიც დახატეთ. დაამზადეთ სავაჭრო ნიშნის მოდელი სხვადასხვა მასალისაგან (მავთული, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ნაჭერი, ძაფი).



- 3.** მოიძიეთ და წარმოადგინეთ ინფორმაცია დიზაინზე, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ დარგზე, დიზაინის სახეებზე, როლზე და მნიშვნელობაზე თანამედროვე სამყაროში.

შეამოწმეთ თქვენი თავი

- ✓ რა უნდა ახასიათებდეს თანამედროვე ავტომობილებს, რომ მათზე მოთხოვნა გაჩნდეს?
- ✓ რატომ არის დიზაინი აქტუალური ჩვენს დროში?

27.

მსოფლიოს მუზეუმები: იმპრესიონიზმის სული

დიალოგი ხელოვნებაზე

რა უძლია ნინ მუზეუმების დაარსებას?

გაიხსენეთ

როგორ დაარსდა პირველი მუზეუმები?

გაეცანით

ორსეს მუზეუმი (ფრანგ. *Musée d'Orsay*) – პარიზში მდებარე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ევროპული ფერწერისა და ქანდაკების მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია, აერთიანებს 1850-1915 წლების ხელოვნების 4000-ზე მეტ ნიმუშს. მდებარეობს ყოფილი სადგურის შენობაში, სენის მარცხენა სანაპიროზე. პოპულარობის მიხედვით, პარიზის რიგით მესამე, ხოლო მსოფლიოში მეათე საცავია. კოლექციის საფუძველს იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტების ქმნილებები წარმოადგენს. კოლექცია ასევე მდიდარია დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებით, ქანდაკებებით, ფოტოგრაფიებითა და არქიტექტურის ნიმუშებით. დამსახურებული პოპულარობა მუზეუმმა, დიდწილად, იმპრესიონიზმის შედეგებით მოიპოვა, რომლებიც შექმნილი იყო ისეთი მხატვრების მიერ, როგორებიც იყვნენ მონე, დეგა, რენუარი და სეზანი. მუზეუმი სპექტაკლებისა და კონცერტების გამართვის ადგილიც არის. აქვე ტარდება ყოველწლიური ფესტივალი, რომელიც კინოს დაბადებას ეძღვნება.




ორსეს მუზეუმი. საფრანგეთი. 1986



ორსეს მუზეუმის ოფიციალური საიტი
<http://www.musee-orsay.fr/>

მარმოტან-მონეს მუზეუმი (Musée Marmottan Monet) – სახვითი ხელოვნების მუზეუმი პარიზში. თავდაპირველად აქ განთავსებული იყო მენარმისა და პირველი იმპერიის, ნაპოლეონის ეპოქის სახელმწიფო მოღვაწის ყიულ მარმოტანის კერძო კოლექციები, მაგრამ მოგვიანებით აქაურობამ სახელი გაითქვა, როგორც იმპრესიონიზმის მუზეუმმა. მარმოტან-მონეში დაცულია იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტების სამასზე მეტი ტილო. ესენია: კლოდ მონეს, ედუარდ მანეს, ედგარ დეგას, ბერტა მორიზოს, ალფრედ სისლეის, პოლ გოგენის, კამილ პისაროს, პოლ სინიაკისა და პიერ ოგიუსტ რენუარის შედევრები.

კოლექციის მარგალიტი შეიძლება ეწოდოს კლოდ მონეს ქმნილებას „მზის ამოსვლა. შთაბეჭდილება“ (Impression. Soleil levant), სწორედ ამ ტილომ აჩუქა სახელწოდება იმპრესიონიზმს – ახალ მიმდინარეობას ხელოვნებაში.



მარმოტან-მონეს მუზეუმი, საფრანგეთი. 1934



მარმოტან-მონეს მუზეუმის ოფიციალური საიტი
<http://www.marmottan.fr/>

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

განსაზღვრეთ

1. გაეცანით მუზეუმების ოფიციალურ საიტებს. გაიხსენეთ, მე-8 კლასში გაცნობილი ხელოვნების ნიმუშებიდან რომლებია დაცული ორსეს და მარმოტან-მონეს მუზეუმებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია მსოფლიოს მუზეუმებზე და მოამზადეთ პრეზენტაცია.

შეამონმეთ თქვენი თავი

- ✓ რა იზიდავდა კოლექციონერებს იმპრესიონისტების შემოქმედებაში?

განმაჯობადეპელი დავალეპეი

შეამონმეთ თქვენი თავი



ბეიუქალა მირზაზადე



ფუად აბლურაზმანოვი



ტოკაი მამედოვი



სადიყ დადაშევი



თორღულ ნარიმანბეკოვი



ელდარ მიქაილზადე

1. განსაზღვრეთ, რომელ მხატვრებს ეკუთვნის მოცემული ნამუშევრები.



2. განსაზღვრეთ სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები, რომლებშიც ეს მხატვრები ქმნიდნენ ნამუშევრებს.



TƏSVİRİ İNCƏSƏNƏT – 8
Ümumtəhsil məktəblərinin 8-ci sinfi üçün
Təsviri incəsənət fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	Kəmalə Əhməd qızı Cəfərzadə Məhsəti İsa qızı Məmmədova
Tərcüməçi	N.Vaşakidze
Redaktor	L.Bakradze
Bədii redaktor	N.Novruzov
Texniki redaktor	Z.İsayev
Dizayner	N.Quruli
Rəssam	A.Dadaşov
Korrektor	L.Umikaşvili

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
08.06.2015-ci il tarixli 645 №-li əmri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri
və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq,
elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 4,4. Fiziki çap vərəqi 6. Səhifə sayı 96.
Kağız formatı 70×100¹/₁₆. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı–2017.

“YAZ” nəşriyyatı
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30

Pulsuz